

# ახლები ქეცბაიას სიაში

როდის დასახელდება ნაკრების შემადგენლობა? გვ. 2

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 ნოემბერი ორშაბათი 2010

№263 (13251) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როდემდე?




## ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

სამტრედიაში მსაჯებმა მოედანი პოლიციის დახმარებით დატოვეს

# რუსთავში

## ლიდერი შეიცვალა



საქართველოს ჩემპიონატი გვ. 3

ოლიმპის ფეხბურთელები ზესტაფონთან მატჩის შემდეგ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




# კაჭარავა გადადგა

## ვინ ჩაიბარებს დინამოს?

გვ. 2

### რომამ ლაციო მოინელა

სერია A გვ. 5

### ტორესმა ჩემპიონი დატორა

პრემიერლიგა გვ. 6

### რეალმა დერბი იოლად მოიგო

ლა ლიგა გვ. 7

### ვერდერი მოკვდა, დორტმუნდი გაფრინდა

ბუნდესლიგა გვ. 8

## ხარები ალონსოს მიუახლოვდნენ

გვ. 16



ეროვნული ბიბლიოთეკა



სამწვრთნელო ცვლილება



კახა კაჭარავას (შუაში) შემცვლელის მოძებნამდე დინამოს გელა ჭანტურია (მარცხნივ) და თამაზ სამხარაძე მოამზადებენ

# დინამოს მთავარი მწვრთნელი გადადგა

## ბუბა ტყავაძე: კახა კაჭარავა ისეთი პიროვნებაა, მინდა გუნდში დარჩეს

თბილისის "დინამომ" ბოლო საშინაო ორი შეხვედრა ვერ მოიგო – რუსთავის "ოლიმპთან" და ზუგდიდის "ბაიასთან" ორჯერ ზედიზედ ფრედ ითამაშა (1:1 და 0:0). ერთ-ერთ ლიდერ "ოლიმპთან" ფრე კატასტროფად არ ჩაითვალა, გაჭირვებულ "ბაიასთან" ორი ქულის დაკარგვა კი სამარცხვინო შედეგი იყო ჩემპიონატის ფავორიტისა და ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბისთვის. ამ წარუმატებლობის გამო, "დინამომ" ერთპიროვნული ლიდერობის შანსი ხელიდან გაუშვა.

ცხადია, ჩვენ ყველას, ბევრად უკეთესი და ამბიციური "დინამო" გვენატრება. და მაინც, თუკი გავითვალისწინებთ, რომ კონკურენტებთან შედარებით ფეხბურთელთა უფრო მწირი არჩევანი და სათადარიგოთა სკამი ჰქონდა, კახა კაჭარავამ თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის რანგში ცუდად არ იმუშავა და ლიდერებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა.

თუმცა, ჩავარდნა საკუთარ თავს ვერ აპატია და, როგორც შევიტყვეთ, კაჭარავამ ხელმძღვანელობისგან გადადგომა ითხოვა, გუშინ კი "დინამოს" ვარჯიშზეც არ გამოცხადებულა.

ინფორმაციის გადასამოწმებლად "დინამოს" მმართველ დირექტორ ბუბა ტყავაძეს დავუკავშირდით.

- ბატონო ბუბა, როგორც შევიტყვეთ, კაჭარავა გადადგა...

- გადადგა? მე არ მინდა ეს ინფორმაცია უარვყო, მაგრამ იმასაც ვერ გეტყვით, რომ კაჭარავას წასვლა გადაწყვეტილია.

**- მაშინ გაგვარკვიეთ, რეალურად რა ხდება?**

- ბოლოს ისეთი ქულები დავკარგეთ, რომ კმაყოფილი ვერ ვიქნებოდით. რაც მთავარია, თავად კახა იყო უკმაყოფილო. გვითხრა, ვერ მივხვდი, რა და რატომ მოგვივიდა, ჩავარდნის გასაანალიზებლად დრო მჭირდებაო. ჩამოყალიბდება და გადაწყვეტილებას ერთობლივად მივიღებთ.

**- მის არყოფნაში გუნდს ვინ ავარჯიშებს?**

- კახას ასისტენტები, თამაზ სამხარაძე და გელა ჭანტურია. ახალი არავინ მოგვიყვანია, ხომ გითხარით, მთავარი მწვრთნელის საკითხი ჯერ გაურკვეველია.

ვთვლი, რომ კახა საუკეთესო პიროვნებაა, რომლის მსგავსიც ფეხბურთში ბევრი არ მეგულება. "დინამოსთვის" გადაგებული იყო, მისთვის ბევრი რამ გააკეთა და ასეთ ადამიანთან განშორება არ მსურს. ვიმეორებ, დროებით განზე გასვლა და ვითარებაში გარკვევა თავად ითხოვა.

**- ვთქვათ, ვერ შეთანხმდით, შემცვლელზე თუ ფიქრობთ...**

- მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# ახლები ქეცბაიას სიაში: ალადაშვილი, ლიპარტია, ბარაბაძე

## გოჩა ხოჯავა: აუცილებლად ჩამოვალ და საპასპორტო პრობლემასაც მოვაგვარებ

საქართველოს ნაკრები 17 ნოემბერს სლოვენიას შეხვდება, შეკრება კი თბილისში 11 ნოემბერს დაიწყება თბილისში. შეკრებაზე ეროვნულ ჩემპიონატსა და უცხოეთში მოთამაშე ზოგიერთი ფეხბურთელი გამოცხადდება, სლოვენიაში კი მხოლოდ 22 გაემგზავრება. ნაკრებს პირდაპირ სლოვენიაში შეუერთდებიან **კახა კალაძე** ("ჯენოა") და **ზურაბ ხიზანიშვილი** ("რედინგი").

არასწორი გამოდგა ინფორმაცია "ვიტესის" მცველის **გურამ კაშიას** ჩამოუსვლელობის თაობაზე. როგორც გაირკვა, არნემული კლუბი და მისი მეპატრონე **მერაბ ჟორდანია** ფეხბურთელის ნაკრებში გამომგზავრებას ხელს არ უშლიან და პრობლემა მოიხსნა.

სხვადასხვა პრობლემისა თუ კლუბების თხოვნის გამო, ჯერ კიდევ ვერ დაზუსტდა, ნაკრები რა შემადგენლობით მოემზადება. **თემურ ქეცბაიას** თავდაპირველი სია რამდენჯერმე შეიცვალა –ახლა გაირკვა, რომ სლოვენიაში **ნუკრი რევიშვილი, მალხაზ ასათიანი** და **დავით სირაძე** ვერ ითამაშებენ.

ამჯერად ქეცბაიამ საქართველოს პირველობიდან მიწვეულების გასინჯვა ამჯობინა – შეკრებაზე "ზესტაფონიდან" **როინ კვასხვაძე**, თბილისის "დინამოდან" **გიორგი ლორია**, "ვიტ ჯორჯიადან" კი **გიორგი ძაძამია** მიიწვია.

პრემიერლიგის მნიშვნელოვანი ტურისთვის ნალჩიკის "სპარტაკმა" ფეხბურთის ფედერაციას სირაძის დატოვება სთხოვა, მოსკოვის "ლოკომოტივმა" კი ასათიანის. რადგან მატჩი ამხანაგურია, ფედერაციამ უპირველესად ფეხბურთელთა ინტერესები და ისიც გაითვალისწინა, რომ ქეცბაიას ახალი ფეხბურთელების გასინჯვა სურს, ასათიანისა და სირაძის შესაძლებლობებს კი მშვენივრად იცნობს.

ახლა, რუსულ პრემიერლიგაში გადასული ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ფეხბურთელებზე გეტყვით – **ოთარ მარცვალაძე** ჩამოდის, **გოჩა ხოჯავას** კი რუსულმა პასპორტმა შეუქმნა პრობლემა — ფეხბურთის ფედერაციაში პასპორტის ქსეროასლი უნდა გამოეგზავნა, მაგრამ ვერ მოახერხა.



თემურ ქეცბაია



გოჩა ხოჯავა

ვითარებაში გასარკვევად, ხოჯავას ნიჟნი ნოვგოროდში დავუკავშირდით.

**- გოჩა, ნაკრებში გამოგიძახეს, მაგრამ ჯერაც გაურკვეველია, ჩამოდიხარ თუ არა?**

- რას ჰქვია, არ ჩამოვდივარ! ჩემპიონატი დასრულდა, 9 ან 10 ნოემბერს თბილისში ვიქნები და შეკრებაზე აუცილებლად გამოვცხადდები. თემურ ქეცბაიას მიწვევამ ძალიან გამახარა და რატომ არ უნდა გამოვცხადდე, საპასპორტო პრობლემას გულისხმობთ?

**- რა თქმა უნდა. ისე, პრობლემის არსიც ვერ გავიგეთ.**

- გეტყვით, რაც მოხდა: ხუთშაბათს ფედერაციიდან დამიკავშირდნენ და სლოვენიის ვიზის ასაღებად, რუსული პასპორტის ქსეროასლი მთხოვეს. ასლი მაშინვე გადავიღე, მაგრამ ვერ გამოვაგზავნე. ნიჟნი ნოვგოროდში დღესასწაულს აღნიშნავდნენ და ორშაბათამდე ყველა სახელმწიფო დაწესებულება ისვენებდა. სად არ მივედი, მაგრამ ამხელა ქალაქში ფაქსი ვერ ვნახე, კლუბის ოფისშიც არავინ იყო. ორშაბათს აუცილებლად გამოვაგზავნი. მე რომ ნაკრებში თამაში მინდა, მეეჭვება, ასე ვინმეს სურდეს. სეზონი დასრულდა, "ვოლგა" პრემიერლიგაში გადავიდა და ხელი რამ უნდა შემიშალოს?

**- პრემიერლიგაში გასულ სეზონში მახაჩყალის "ანჟიც" გადაიყვანეთ, მაგრამ იქიდან წამოხვედით – ნიჟნი ნოვგოროდში მაინც თუ დარჩებით?**

- დიახ, დავრჩები, რადგან პრემიერლიგაში თამაში ძალიან მინდა. ამას გარდა, გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს..

... დაბოლოს, როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთელის ჩამოუსვლელობის გამო, ქეცბაიამ ეროვნული პირველობიდან შეკრებაზე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გამოიძახა – "ზესტაფონის" მცველი **კახა ალადაშვილი**, "ვიტ ჯორჯიას" შემტევი ნახევარმცველი **ჯაბა ლიპარტია** და რუსთავის "ოლიმპში" ახლახან ჩარიცხული თავდამსხმელი **რეზო ბარაბაძე**.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# იაშვილი ბოლიდში

მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „კარსლრუეს" ქართველმა კაპიტანმა **ალექსანდრე იაშვილმა** მატჩამდე გამოფენისთვის მოიცალა. ჩვენი ნაკრების თავდამსხმელი თანაკლუბელ **ტიმო შტაფელდტთან** ერთად კარლსრუეში მიმდინარე გამოფენას ეწვია. გამოფენაზე მათ თითქმის ორი საათი დაყვეს. იაშვილმა და შტაფელდტმა ავტოგრაფები უხვად დაარიგეს, მერე კი ჩვენებური მაღალსიჩქარიან ბოლიდში ჩაჯდა და ფოტოკორესპონდენტებმაც ფოტოკამერები მოიმარჯვეს. ერთ-ერთი ასეთი ფოტო და ეს ამბავი გერმანულმა ვებგვერდმა ka-news.de-მაც გამოაქვეყნა.

**დავით ცაბაძე**



# ხიზანიშვილი რედინგთან ერთად პრემიერლიგაზე ოცნებობს

ინგლისურ ჩემპიონშიპში (მეორე ლიგა) მოასპარეზე **ზურაბ ხიზანიშვილი** „რიდინგშია" განათხოვრებული. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრების მცველი კონტრაქტით „ბლექბერნს" ეკუთვნის, „რიდინგში" კი მიმდინარე სეზონის ბოლომდეა განათხოვრებული. ბრიტანელი მიმომხილველები ხიზანიშვილის მომავლით დაინტერესდნენ და მას სწორედ ამ საკითხზე გაესაუბრნენ.

„მიმდინარე სეზონის ბოლომდე, საიჯარო კონტრაქტით „რიდინგს" ვეკუთვნი და მთლიანად ამ გუნდზე ვარ ორიენტირებული. საიჯარო ვადის ამოწურვასთან ერთად, „ბლექბერნთან" კონტრაქტის ვადაც დასრულდება და თავისუფალი აგენტი გავხდები. ჯერ არ ვიცი, მომდევნო სეზონში სად ვითამაშებ. არ ვჩქარობ და მოსაფიქრებლად დროც საკმარისად მაქვს. „რიდინგში" ჩინებულად ვგრძნობ თავს. გუნდის მთავარი მწვრთნელი და კლუბის პრეზიდენტი ჩემი თამაშით კმაყოფილები არიან. მართალი გითხრათ, ძალიან მინდა პრემიერლიგაში „რიდინგთან" ერთად ვიასპარეზო. კარგი იქნება თუ ამ ჩანაფიქრს განვახორციელებთ", - ზურაბ ხიზანიშვილის ეს სიტყვები ბრიტანულმა ვებგვერდმა getwokingham.co.uk-მ გამოაქვეყნა.

ვნახოთ, პრემიერლიგაში გადასვლის რა შანსი აქვს ჩვენებურის გუნდს. 15 ტურის შემდეგ „რიდინგს" 22 ქულა აქვს და მე-10 ადგილზეა. ხიზანიშვილის გუნდი ცხრილის ლიდერსა და მეორეადგილოსანს შესაბამისად, 11 და 10 ქულით ჩამორჩება. სეზონის დასრულებამდე წინ კიდევ 31 ტურია. ასე რომ, „რიდინგსაც" აქვს შანსი პრემიერლიგის საგზურისთვის იბრძოლოს. მომდევნო ტურში „რიდინგი" „კარდიფ სიტის" (რომელიც მეორე საფეხურზეა) შინ ეთამაშება.

ხიზანიშვილი „რიდინგის" გულშემატკივრებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის ჩემპიონშიპშიც ცნობილი ფიგურაა და მეტოქეებზეც ჰკითხეს.

„პრემიერლიგაში გადასვლისთვის თუ რეალურად ვიბრძვით, მაშინ ყველა მეტოქე სათანადოდ უნდა დააფასო. თუ არ დააფასებ მოწინააღმდეგეს, მაშინ დიდი შანსია დაისაჯო. ყველა მატჩის წინ ვღელავ. ეს იმიტომ კი არა, რომ მეტოქის მეშინია. არა, მოწინააღმდეგეს სათანადოდ ვაფასებ. ყველა მატჩში მოსაგებად უნდა გავიდეთ მოედანზე. ამავე დროს მეტოქის რეალური ძალაც უნდა ვიცოდეთ და დავაფასოთ. რა თქმა უნდა, ყველა თამაშს ვერ მოიგებ, მაგრამ საშინაო მატჩებში ქულები არ უნდა დავკარგოთ", - აღნიშნა ზურაბ ხიზანიშვილმა.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა


სახიფათო მომენტი ზესტაფონელთა კართან
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სერიოზული განაცხადი

06.11. რუსთავი. ფოლადი
900 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 1 |
| ზესტაფონი | 0 |

1:0 კვახაძე (3).

| ოლიმპი | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-1-3-2 |
| გედიაშვილი | რ. კვასხვაძე |
| ლონდაძე | ალადაშვილი |
| კვახაძე | გ. ონიანი |
| რეხვიაშვილი | ხიზნიშვილი |
| ჯაფარიძე | ელიავა |
| დობროვოლსკი | დაუშვილი |
| რაზმაძე | აფციაური |
| მოდებაძე | ძარია |
| ქავთარაძე | გრიგალაშვილი |
| გენაძე | დვალი |
| ბერიაშვილი | გელაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| რ. მუმლაძე | გ. გეგუჩაძე |

**ოლიმპი**

64. დობროვოლსკი - **გ. ძელიძე**
82. გენაძე - **ყაზაიშვილი**
90+3. ქავთარაძე - **ქემოკლიძე**
სათადარიგოები: ბათიაშვილი, ჯ. უგულავა, ბარაბაძე

**ზესტაფონი**

64. ძარია - **ნინამძღვრიშვილი**
77. დაუშვილი - **გორგიაშვილი**
81. დვალი - **ბენაშვილი**
სათადარიგოები: მამალაძე, კობახიძე, ბაბუნაშვილი, ფიფია.

გაფრთხილება: ძარია (15), რეხვიაშვილი (34), მოდებაძე (37), ლონდაძე (45), ალადაშვილი (47), დვალი (52), ბედიაშვილი (73).
არბიტრი: ლ. კვარაცხელია

... სულ მცირე, ორი კვირით ჩემპიონატს ახალი ლიდერი ეყოლება: ტურის ცენტრალურ მატჩში „ოლიმპმა" დამსახურებული 3 ქულა მოიპოვა და ამ გამარჯვებით ორივე უშუალო კონკურენტი ჩამოიტოვა! ვერ გეტყვით, რის საფუძველზე, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სეზონის დაწყების წინაც და მერეც, ჩემპიონატის მსვლელობისას, „ოლიმპის" საჩემპიონო შანსებს ბევრი სკეპტიკურად აფასებდა. ამ შემთხვევაში, ალბათ, სტატისტიკას ეყრდნობოდნენ: ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ერთი და იგივე გუნდი ზედიზედ ორჯერ ჩემპიონი ვერ ხდებოდა...

...ტურის ცენტრალურ შეხვედრას მართლაც მშვენიერი ამინდი დაემთხვა, მაგრამ, როგორც ვივარაუდეთ, „ფოლადის" სტადიონი მაინც არ გაივსო! ეგ კი არა, ზესტაფონიდან ქომაგთა სოლიდური ჯგუფი რომ არ ჩამოსულიყო, მართლაც საინტერესო და დაძაბული შეხვედრა, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდებოდა. სამაგიეროდ, საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ ვიპ-ლოჟაში არ იყო სიხალვათე: შარშანდელი საჩემპიონო დაჯილდოების შემდეგ „ფოლადის" სტადიონზე კვლავაც გამოჩნდა გუნდის მეპატრონე **ჯოზეფ ქეი**, ვინც ოჯახის წევრებთან ერთად აქტიურად ქომაგობდა „ოლიმპს". ამ ცნობილი ბიზნესმენის გარდა ჩემპიონატის ორი გამორჩეული გუნდის დაპირისპირებას თვალს ადევნებდნენ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** და მისი ასისტენტი **სოსო ჭედია**.

...სტუმართა თავკაცმა **გია გეგუჩაძემ** მოედანზე ოპტიმალური და, როგორც იტყვიან ხოლმე, საბრძოლო შემადგენლობა გამოიყვანა. **რამაზ მუმლაძემ** კი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის, დისკვალიფიცირებული **ბოლქვაძის** არყოფნის გამო „ოლიმპის" შემადგენლობაშიც და ტაქტიკურ განლაგებაშიც გარკვეული კორექტივები შეიტანა და, როგორც მერე გაირკვა, სწორი გადაწყვეტილებებიც მიუღია. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ხვალინდელ „ტურის მიმოხილვაში" ვიტყვით, დღეს კი უშუალოდ მატჩის პერიპეტიებს შემოგთავაზებთ. მატჩისა, ერთობ ნაადრევი გოლი რომ გავიდა და ასეთმა დასაწყისმა მასპინძელთა თამაშზე პოზიტიურად რომ იმოქმედა. მესამე წუთი იწყებოდა, მეტოქის საჯარიმოს სიახლოვესთან „ოლიმპის" ცენტრფორვარდმა **ბერიაშვილმა** რომ იაქტიურა და სტუმართა მცველებს ისლა დარჩენოდათ, საკუთარი შეცდომა ნესების დარღვევით „გამოესწორებინათ". სეზონში „ოლიმპმა" უკვე არაერთი გოლი გაიტანა „სტანდარტულებიდან", ჯარიმა ამჯერადაც 3 ქულის მომტანი აღმოჩნდა! საჯარიმო დარტყმა **კვახაძემ** შეასრულა, ბურთი სტუმართა „ცოცხალ კედელში" ერთ-ერთ ფეხბურთელს მოხვდა და... „ზესტაფონის" მეკარე **კვასხვაძეც** უძლური იყო — 1:0! ასეთმა დასაწყისმა მასპინძელთა აქტიურობა კი არ დააოკა, პირიქით — უფრო ენერგიულად შეუტიეს მეტოქეს და სულ მალე **გენაძემ** მარცხენა ფლანგზე თავის „საფირმო" რეიდი სახიფათო დარტყმით დაასრულა, მაგრამ მეკარემ საიმედოდ ითამაშა. და აი, შეტევაში „გართულ" მასპინძლებს სტუმართა მწვავე კონტრშეტევა გამოეპარათ, მაგრამ „ზესტაფონმა" თითქმის 100-პროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა: **დვალმა** ჩინებული პასით **გელაშვილს** ხელსაყრელი პოზიცია შეუქმნა, თუმცა **ბედიაშვილს** ვერ აჯობა — დროულად გამოვიდა კარიდან და ძლიერი დარტყმა მოიგერია. ამის მეტი სტუმრებს პირველ ტაიმში შეტევაში ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ; სამაგიეროდ, „ოლიმპი" კვლავ განაგრძობდა ზეწოლას; სტუმართა მცველებს დიდი თავსატეხი გაუჩინა ბერიაშვილმა: ერთ ეპიზოდში მისი თავური კვასხვაძემ მოიგერია, მეორედ მცირედით არაზუსტად დაარტყა; ტაიმის ბოლოს კი **მოდებაძეს** შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ოდნავ დააყოვნა. მოკლედ, პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და ამ შემთხვევაში აუცილებლად გამოსარჩევია **ქავთარაძისა** და **ჯაფარიძის** ჩინებული თამაში.

...მეორე ტაიმის საწყისი წუთები უჩვეულოდ მშვიდად წარიმართა, აი, მერე კი ისევ ჩქარი ტემპი, ორივე კართან სახიფათო მომენტები, ხისტი თამაში და, საერთოდაც, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე მართლაც მშვენიერი სანახაობა ვიხილეთ. ოღონდ ერთი საკამათო ეპიზოდიც იყო: ბერიაშვილისა და **ონიანის** ორთაბრძოლისას სტუმრებმა მიიჩნიეს, რომ მასპინძლები უნდა დაჯარიმებულიყვნენ და მსაჯის სასტვენის მოლოდინში გაჩერდნენ კიდეც. ამ დროს „ოლიმპმა" თამაში არ შეაჩერა და ბერიაშვილის პასით გენაძე სტუმართა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა კვასხვაძემ ამჯერადაც იყოჩაღა. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები მოედანზე, ეს ბურთი რომ გასულიყო: „ზესტაფონის" ფეხბურთელებმაც და ქომაგებმაც აქტიურად გამოხატეს პროტესტი მსაჯის იმ შეცდომის (მათი აზრით) გამო. ვიმეორებთ: მართლაც საკამათო ეპიზოდი იყო და თუ ამ მომენტს მხედველობაში არ მივიღებთ, მთლიანობაში **ლევან კვარაცხელიას** მსაჯობა მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ.

...ამის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელებმა მოედანზე სიტუაციის შესაცვლელად ახალ-ახალი ფეხბურთელებიც შემოიყვანეს; „ზესტაფონიც" ბევრად გააქტიურდა, მაგრამ „ოლიმპის" მცველებიც საიმედოდ თამაშობდნენ და ბედიაშვილმაც, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩაატარა მატჩი. მან ორჯერ შეძლო ჯერ **დაუშვილის**, შემდეგ კი **გრიგალაშვილის** შორეული დარტყმების მოგერიება. ამ უკანასკნელმა (სტუმართა გუნდში, ალბათ, ყველაზე გამორჩეულმა) ერთ ეპიზოდში საკმაოდ მახვილი კუთხიდან (თანაც შორი მანძილიდან) სახიფათო „სტანდარტული" შეასრულა და ბურთი მასპინძელთა კარის ხარიხას მოხვდა. თუმცა მასპინძლებსაც მთელი გუნდით უკან არ დაუხევიათ და ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტიეს; განსაკუთრებით კი ის ეპიზოდი დაგვამახსოვრდა, მოდებაძე შეუჩერებლად რომ ურტყამდა, მაგრამ ბურთი სტუმართა კარის ბადეს... გარედან მოხვდა.

... და აი, მაშინ, „ოლიმპის" ქომაგებს უშუალო კონკურენტთან გამარჯვება და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე გადასვლა რომ უნდა ეზეიმათ, სტუმართა ბოლო შეტევამ კინაღამ ყველაფერი შეცვალა! მსაჯის მიერ დამატებული წუთები იწურებოდა, მასპინძელთა მცველების პოზიციური შეცდომის შედეგად **ნინამძღვრიშვილი** უაღრესად ხელსაყრელ სიტუაციაში რომ აღმოჩნდა; თუმცა შეცვლაზე შესულმა ფორვარდმა მეტისმეტად არაზუსტად დაარტყა და... სულ მალე მატჩის საფინალო სასტვენიც გაისმა!

ამ გამარჯვებით კი „ოლიმპმა" მართლაც სერიოზული საჩემპიონო განაცხადიც გააკეთა...

**გია ტუხაშვილი**

06.11. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
1 800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 ჩომახიძე (63)

| სამტრედია | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-2 |
| ძაგანია | მიქაბერიძე |
| ქუარციშვილი | ბექვაია |
| გოგია | ადამაძე |
| ხუმარაშვილი | ლომაია |
| კირთაძე | ლანიაშვილი |
| ჩომახიძე | გურეშიძე |
| ძიგაძე | მაისაშვილი |
| ტყემალაძე | ვასაძე |
| კირკიტაძე | კლიმიაშვილი |
| კაკალაძე | ლიპარტია |
| კვერენჩხილაძე | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. სანაია | მ. კოჭლაშვილი |

**სამტრედია**

58. კვერენჩხილაძე - **ბაკარაძე**
85. ჩომახიძე - **ბაქურაძე**
სათადარიგოები: ჯინჭარაძე, თ.შალიკაშვილი, გუჩუა, ნინუა, ეცადეიშვილი

**ვიტ ჯორჯია**

67. გურეშიძე - **ჯანელიძე**
84. მაისაშვილი - **ზაქრაძე**
სათადარიგოები: ძაძამია, გოგიაშვილი, ჭანკვეტაძე, ხურცილავა, კასრაძე

გაფრთხილება: კლიმიაშვილი (50)
გაძევება: მესიაჩენკო (46. სამტრედიის მწვრთნელი, სათადარიგოთა სკამიდან)
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

# ჩომახიძის გოლმა მსაჯები გადაარჩინა

ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, **ჩომახიძის** ზუსტ საჯარიმო დარტყმას მასპინძლებისთვის გამარჯვება რომ არ მოეტანა. პირველი ტაიმის შემდეგ მსაჯობით უკმაყოფილო ადგილობრივი გულშემატკივრები არბიტრ **არსენ ნონიკაშვილს** და მის ასისტენტებს უცენზურო სიტყვებით „ამკობდნენ" და ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. ფედერაციასა და მის ხელმძღვანელებსაც გადასწვდნენ. ეს ყველაფერი ტრიბუნებზე ხდებოდა, მსაჯებმა გასახდელში გასვლა პოლიციელების დახმარებით მოახერხეს და „სირცხვილის დერეფანში" კვლავაც ბევრი უსასიამოვნო შეძახილი მოისმინეს. საბედნიეროდ, სამართალდამცავთა მცდელობით სერიოზულ ინციდენტამდე საქმე აღარ მისულა.

სამტრედიელების გაღიზიანება რამდენიმე ეპიზოდმა გამოიწვია. მე-6 წუთზე **კირკიტაძემ** მარცხენა ფლანგზე **ბექვაია** ჩამოიცილა, საჯარიმოში მეურვემ ჯერ ხელით შეაჩერა, მერე კი ნაჭცეულს დაახტა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნიდან ასე ჩანდა, ვიდეოფირის უნახავად რამეს მტკიცება რთული იქნება. მსაჯმა დარღვევა არ დააფიქსირა და უკმაყოფილების პირველმა ტალღამაც აქ იფეთქა. 21-ე წუთზე **კაკალაძემ კვერენჩხილაძე** გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მანაც გაიტანა, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა **ზვიად ერქვანიამ** თამაშგარე დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა. ახლა ეს გახდა უკმაყოფილების მიზეზი. პირველი ტაიმის დასრულებისთანავე ნონიკაშვილმა სამტრედიელთა მწვრთნელი **მამუკა მესიაჩენკო** შეურაცხმყოფელი სიტყვებისთვის წითელი ბარათით დასაჯა, რამაც გულშემატკივრების უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. მეორე ტაიმი გაცილებით მშვიდობიანად ჩატარდა და ამაში ლომის წილი ჩომახიძის გოლმა დაიდო. თუმცა მანამდე და შემდეგაც არაერთი საინტერესო ეპიზოდი იყო...

არასახარბიელო ფინანსური და სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, სამტრედიელები ბედს არ ეგუებიან და ყოველ მატჩში დიდი ჟინით იბრძვიან. მასპინძლებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ და ბოლომდე დაიხარჯნენ. საგოლე მომენტები „ვიტ ჯორჯიასაც" ჰქონდა. სტუმრები სახიფათოდ უტევდნენ, განსაკუთრებით **ლიპარტია** და **ჩიმაკაძე** აქტიურობდნენ. პირველად კარის მიმართულებით სწორედ სტუმრებმა დაარტყეს. **ბექვაიას** ფლანგური ჩაწოდება, **ჩიმაკაძის** თავური და ბურთი ხარიხას გადასცდა. მე-8 წუთზე ამ დუეტმა ანალოგიური საფრთხე შექმნა, მაგრამ ამჯერად ძაგანიამ იყოჩაღა. მანვე ჩიმაკაძეს ტაიმის მიწურულს გოლის გატანის შანსი კიდევ ერთხელ წაართვა.

ზემოხსენებული ორი სადაო ეპიზოდის გარდა მომენტები მასპინძლებსაც ჰქონდათ. მაგრამ ჯერ **კვერენჩხილაძემ** „მაკრატელათი", შემდეგ **გოგიამ** ააცილა მიზანს, 36-ე წუთზე კი კვერენჩხილაძის დარტყმული მიქაბერიძემ ნახტომით მოიგერია.

მასპინძლებს მეორე ტაიმშიც ვეტერანი ჩომახიძე „დირიჟორობდა". 52-ე წუთზე მისი ჩაწოდებით კვერენჩხილაძის თავური მიქაბერიძემ კვლავ მოიგერია. მალევე ჩომახიძემ ჯარიმიდან ჩააწოდა, ტყემალაძემ ვარდნაში დაარტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა.

სტუმრებმა 57-ე წუთზე სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, **კლიმიაშვილმა გურეშიძეს** ჩააწოდა, ამან **ლიპარტიას**, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა კარს. იქვე სამტრედიელები კიდევ ერთხელ გადარჩნენ, როცა **გურეშიძემ** ჩიმაკაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ძაგანიამ ფეხებში ვარდნით არ მისცა დარტყმის საშუალება. მოკლედ, ვიტელებმა ორი კარგი მომენტი გაუშვეს ხელიდან. როგორც ხდება ხოლმე, „ვერ გაიტან, გაგიტანენ"... 63-ე წუთზე სტუმრებმა **კაკალაძე** ზედ საჯარიმოს ხაზის სიახლოვეს წააქციეს, ნაბიჯიც და, პენალტი იქნებოდა, თუმცა გამოცდილმა ჩომახიძემ ჯარიმა პენალტივით შეასრულა და გამარჯვების გოლი გაიტანა. მალევე კაკალაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა — თბილისელები ძელმა



იხსნა. თანაბარ ბრძოლაში გატანის შანსი ვიტელებს კიდევ რამდენჯერმე წაართვა მეკარემ. შეცვლაზე შესული ბაკარაძე მეკარესთან შეხებისას წაიქცა და მასპინძლები კვლავ პენალტს ითხოვდნენ, თუმცა არბიტრი ისევ შეუვალი იყო. ამას კვლავ მაყურებელთა აგრესია მოჰყვა, თუმცა, რადგან მატჩი „სამტრედიამ" მოიგო, გახარებულ ქომაგებს მსაჯები აღარც გახსენებიათ.

**მატჩის შემდეგ**

**მერაბ კოჭლაშვილი:** „შესაძლოა, თამაშის ხარისხი არ იყო მაინცდამაინც სასურველი, მაგრამ მატჩი საკმაოდ დაძაბულად და მაღალ ტემპში წარიმართა. ვიცოდით, რომ რთული თამაში გველოდა. საგოლე მომენტები ორივე მხარეს იყო და უფრო ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა. კარგი საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ."

**გელა სანაია:** „ჰაერივით საჭირო სამი ქულა მოვიპოვეთ. მადლობა ფეხბურთელებს თავდადებული თამაშით მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვებისთვის. რაც შეეხება მსაჯობას, ფაქტია, რომ უკეთესობის სურვილს ტოვებდა."

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი | 14 | 8 | 3 | 3 | 22 | 13 | 27 |
| 2 | დინამო | 14 | 7 | 5 | 2 | 19 | 8 | 26 |
| 3 | ზესტაფონი | 14 | 8 | 1 | 5 | 23 | 12 | 25 |
| 4 | სიონი | 14 | 5 | 5 | 4 | 11 | 13 | 20 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 14 | 6 | 1 | 7 | 16 | 19 | 19 |
| 6 | ბაია | 14 | 5 | 4 | 5 | 15 | 17 | 19 |
| 7 | ტორპედო | 14 | 4 | 6 | 4 | 8 | 8 | 18 |
| 8 | კოლხეთი | 14 | 4 | 4 | 6 | 13 | 20 | 16 |
| 9 | სამტრედია | 14 | 4 | 3 | 7 | 14 | 20 | 15 |
| 10 | სპარტაკი | 14 | 1 | 4 | 9 | 11 | 22 | 7 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| მოდებაძე (ოლიმპი) | 8 (2) |
| მეგრელაძე (ბაია) | 6 (1) |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 5 (1) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბური

● სავარაუდო ტრანსფერი



ესტონეთის ჩემპიონატი დამთავრდა, გამარჯვებული ტალინის "ფლორა" გახდა. ტალინელთა შემადგენლობაში ოქროს მედალი ქართველმა პლეიმეიკერმა ზაქარია ბეგლარიშვილმაც მოიპოვა, რომელმაც 36 მატჩიდან 22 ჩაატარა და ხუთი გოლი გაიტანა.

ზაქარიასთან ერთად, თებერვალში ტალინელებმა კონტრაქტი "გაგრას" ყოფილ ფორვარდ ლექსო აბაშიძესაც გაუფორმეს. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, "ფლორამ" აბაშიძეს აპრილში კონტრაქტი ორმხრივი სურვილით გაუწყვიტა - "სოკერვეის" ინფორმაციით, ლექსოს ტალინელთა ფორმა წლეულს ერთხელაც არ მოურგია.

შესაძლოა, ზაქარიასთვის ესტონეთში გატარებული პირველი სეზონი ბოლოც გამოდგეს, რადგან ჰოლანდიაში, არნემის "ვიტესში" გადასვლის შანსი გაუჩნდა.

ბეგლარიშვილს ტალინში გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

# ბეგლარიშვილი შეიძლება ვიტესში გადავიდეს

## ქართველი პლეიმეიკერი ესტონეთის ჩემპიონია

**- გილოცავ ჩემპიონობას! როგორც ვიცით, ეს შენთვის პირველი ტიტულია.**

- დიახ, პირველია და გახარებული ვარ. პრესტიჟულ ლიგაში არ ვთამაშობ, მაგრამ ჩემპიონობა ყველა ქვეყანაში სასიხარულოა... მთავარია, ჩემპიონის ტიტულით დავიწყე. იმედია, მერე უკეთესი ლიგის მედალსაც მოვიპოვებ.

**- სეზონს წარმატებულად თვლი?**

- მთლიანობაში ცუდი ნამდვილად არ ყოფილა, ჩემპიონი გავხდი, ხუთი გოლი გავიტანე, ესტონეთის თასზე — სამი. ნახევარმცველისთვის ურიგო შედეგი არ ეთქმის.

**- ჩემპიონატში 36 შეხვედრიდან, ძირითადში მხოლოდ 10-ჯერ ითამაშე.**

- თავიდან თამაში არ მიწევდა, ახალი ჩასული გუნდს და ფეხბურთელებს ვეჩვეოდი. რაც უნდა კარგად იყო მომზადებული, ესტონური ფეხბურთი სხვა სტილისაა, ვიდრე ქართული და სხვაგვარ თამაშს შეჩვევა სჭირდებოდა. მერე უფრო და უფრო მენდობოდნენ და ბოლოს ათი შეხვედრა ჩავატარე ძირითადში. ახლა შემიძლია გითხრათ, რომ "ფლორას" შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრე.

**- კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- მომავალ წელს.

**- კლუბის შეცვლას არ აპირებ?**

- ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ უფრო ძლიერ გუნდში თამაში ნამდვილად მსურს.

**- რადგან არ ამბობ, მაშინ კარტები გავხსნათ – ჩვენთვის ცნობილია, რომ მერაბ ჟორდანია შენს "ვიტესში" გადაყვანაზე ფიქრობს.**

- ჯერ ზუსტად არ ვიცი, შეიძლება გადავიდე.

**- დანამდვილებით ვიცი, რომ რეკომენდაცია „ფლორაშიც" ჟორდანიამ გაგიწია და ალბათ, მასთან წასვლაც ლოგიკურიც იქნება.**

- დიახ, ასეა. რეკომენდაციისთვის მისი მადლობელი ვარ. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს. გადასვლაზე საუბარი იყო.

**- როდის?**

- სექტემბერში, მაგრამ ის კი არ უთქვამს, რომ აუცილებლად წამიყვანდა – მთავარი იყო, ესტონეთში დამემტკიცებინა, რომ თამაში შემეძლო. "ვიტესში" მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წამიყვანს. ასე რომ, ჯერ ზუსტად ვერაფერს ვიტყვი.

**- სუსტ მხარედ ჯანის ნაკლებობას და ათლეტურობას გითვლიდნენ, ახლა როგორაა საქმე?**

- ცოტა უკეთ. ესტონელები კარგად მავარჯიშებენ, ჯანი მომემატა და ოდნავ უფრო ათლეტური გავხდი. თუმცა ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო მაქვს. ნაკლის გამოსასწორებლად, თერთმეტი თვეა ჩემი დღის განრიგი ერთფეროვანი გახდა: ვარჯიში, თამაში, სახლი. ხშირად დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა. ჩემპიონატს ესტონეთისა და ბალტიის თასიც დაემატა და ძალიან გადატვირთული გრაფიკი გამომივიდა. ტალინი ლამაზი ქალაქია, მომწონს მაგრამ აქ ქალაქის დასათვალიერებლად და გასართობად არ ჩამოვსულვარ. ძნელია, 20 წლის ბიჭისთვის გარეთ რომ არ გახვალ და არ ერთობი, მაგრამ მოთმინება დამიფასდება... დამიჯერებთ ესტონეთში ჩამოსვლის შემდეგ, ზედიზედ სამ დღეზე მეტი არც დამისვენია. თავიდან მაგრად ვილლებოდი, მაგრამ მერე და მერე გრაფიკს შევეჩვიე, მომეწონა კიდეც. თუმცა ახლა დასვენება მინდა.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში აღარ გიწვევდნენ. მიზეზით თუ დაინტერესდი?**

- ალბათ მწვრთნელი თვლიდა, რომ იმ დროს სათამაშოდ მზად არ ვიყავი და არც ვამტყუნებ. გარკვეულ ეტაპზე ასეც იყო და აღარ მიძახებდა. ესტონეთში ვთამაშობ, რომელიც ჩვენი კონკურენტი იყო და ვერ წარმოიდგენთ, ბიჭებმა როგორ გამახარეს. ნაკრების ყველა თამაშს ვუყურე, ვგულშემატკივრობდი და ამაყი ვიყავი, რადგან მატჩების უმრავლესობა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარეს. ესტონელებიც აღიარებდნენ, რომ გაბელიამ კარგი გუნდი ჩამოაყალიბა.

**- იქნებ იმიტომ არ გიწვევდა, რომ ესტონეთში ნავარჯიშებ ფეხბურთელს არ გენდობა? მაინც არასაფეხბურო ქვეყნად ითვლება.**

- არ ვიცი, არა მგონია, ასე იყოს. ესტონეთის ნაკრებში "ფლორას" რამდენიმე ფეხბურთელი გამოდის და სუსტი ნაკრები არ ყოფილა. აქ საკმაოდ კარგი დონის პირველობაა, თამაშებიც დაძაბულია, გუნდებს ნორმალური პირობები აქვთ.

**- ესტონური კლუბების ინფრასტრუქტურასა და ბიუჯეტზე რას გვეტყვი?**

- სტადიონები და მოედნები მაღალი დონისაა, მოვლილი და მოწესრიგებულია, სადაც ვარჯიში და თამაში გესიამოვნება. "ფლორას" კი ესტონეთში საუკეთესო ინფრასტრუქტურა აქვს. ეროვნული ნაკრები ჩვენს ბაზაზე იკრიბება და მატჩებსაც აქ ატარებს. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რამდენიმე გუნდს საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტი აქვს.

**- უმაღლეს ლიგაში გაჭირვებული გუნდები თუ არის, სადაც ხელფასს დროულად ვერ არიგებენ და ფეხბურთელები გაფიცვით იმუქრებიან?**

- არა, ესტონეთში ასეთი ამბები არ ხდება. ფეხბურთელებს ნორმალური პირობები შეუქმნეს და ბოლო დროს პროგრესი ამიტომაც დაეტყოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონი

# მარცვალაძე პირველი დივიზიონის ბომბარდირია

**ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგი" ერთ-ერთ ლიდერ „ქუინზ პარკ რეინჯერსს" ესტუმრა და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქემ ტაიმი რიცხობრივ უმცირესობაში ითამაშა, 1:3 წააგო და ისევ ცხრილის შუაგულს დაუბრუნდა (22 ქულით მე-10 ადგილზეა), არადა მოგებით „როიალსი" მე-4 ადგილზე გადავიდოდა. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა ქართველმა მცველმა. თამაშის წინ ზურაბმა „გეთ ვორკინგემთან" საკმაოდ ვრცელ საუბარში აღნიშნა, რომ „ქუინზ პარკთან" და შემდეგ ოთხშაბათს „კარდიფთან" მატჩები ყველაზე მნიშვნელოვანია გუნდისთვის, რომელიც პრემიერლიგაში აღზევებაზე ფიქრობს. ჩვენებურმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა, ის გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს, სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება და შემდეგ გადაწყვეტს, სად გააგრძელებს კარიერას.

საფრანგეთში ჯერჯერობით არაფერი სასიკეთო არ ისმის **გიორგი მაკარიძეზე**, 20 წლის ქართველი გოლკიპერი ყოფილი დინამოელის, **დიდიე ოვონოს** დუბლიორად იქცა, გაბონელი კი „ლე მანის" კაპიტანია და ყველა თამაშში ის დგას კარში. ბოლო ტურში „ლე მანმა" სტუმრად 1:0 აჯობა „მეცს". კარგი ისაა, რომ მაკარიძის გუნდი 26 ქულით ლიდერობს და ლიგა 1-ში დაბრუნების უპირველესი კანდიდატია.

სერია B-ში მოთამაშე „ემპოლის" ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** ტრავმირებულია. გუნდი უქართველოდ ესტუმრა „პადოვას" და 2:2 დაუზავდა. „ემპოლი" 21 ქულით მე-6 ადგილზეა.

სეზონში პირველი მარცხი განიცადა **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ". ბერლინური გუნდი სტუმრად „პადერბორნთან" 0:1 დამარცხდა. ლევანი 62-ჯერ შეეხო ბურთს, გააკეთა 35 პასი, აქედან 20 ზუსტი (60%). „შპორტალმა" გამოცდილ ჩვენებურს 4-იანი დაუწერა. „მიუნხენის" ქართველი სტოპერი **მათე ღვინიანიძე** გამოჯანმრთელდა და ის „ალემანიასთან" მატჩში გაანცხადშიც მოხვდა, თუმცა „ლომებმა" მის გარეშე აჯობეს მეტოქეს - 2:1. **ალექსანდრე იაშვილი** და „კარლსრუე" დღეს თამაშობენ. „ჰერტა" 26 ქულით კვლავ პირველია, „მიუნხენი" 19 ქულით მეექვსეა.

რუსეთის ჩემპიონატის პარასკევის მატჩზე უკვე მოგახსენეთ. ნალჩიკის „სპარტაკს" მოგებაში ქართველები, **გოგიტა გოგუა** და **დავით სირაძე** დაეხმარნენ, პირველის დარტყმას გოლი მოჰყვა, მეორის ნაქცევას კი პენალტი სტუმართა კარში. მახაჭყალაში „ანჟიმ" ძალზე მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა, მას მერე, რაც „ტომი" 1:0 დაამარცხა. ამ თამაშში **გაჯი გაჯიევმა** თავის გამოჩენის შანსი **ნუკრი რევიშვილს** მისცა, რომელმაც წინა ორი ტური სათადარიგოთა სკამზე გაატარა. საქართველოს ნაკრების გოლკიპერმა მწვრთნელს იმედი არ გაუცრუა, კარი „მშრალად" შეინახა (5,5 შეფასება „ჩემპიონატისგან"). რევიშვილი ერთხელ შეცდა, როცა მე-9 წუთზე დარტყმული ვერ შეიმაგრა, მაგრამ ისევ თავად გამოასწორა შეცდომა. **ოთარ ხიზანეიშვილი** სათადარიგო იყო. „ანჟის" 27 ქულა გაუხდა.

**ლევან გვაზავას** „ტერეკი" სტუმრად „ამკართან" დამარცხდა - 0:2. ლევანმა შეუცვლელად ითამაშა (5,5 ბალი) და ნაგებულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო. „ტერეკი" 32 ქულით მე-9 ადგილზეა.

ვლადიკავკაზში „ალანიასთან" მატჩის პირველი 33 წუთი **მალხაზ ასათიანმა** სათადარიგოთა სკამიდან ნახა, შემდეგ კი ლოკომოტიველი **იან დიურიცას** გაძევების გამო მოედანზე გამოსვლა მოუხდა. მართალია, მოსკოველებმა ფრე შეინარჩუნეს (0:0), მაგრამ ორი უმნიშვნელოვანესი ქულა დაკარგეს. ახლა ნალჩიკის „სპარტაკს" და „ლოკომოტივს" 43-43 ქულა აქვთ. ცხრილში წინ მოსკოვური გუნდია და თუ ჩემპიონატი მე-5 ადგილზე დაასრულა, ევროპის ლიგის საგზურს ის მოიპოვებს.

რუსეთის I დივიზიონის გათამაშება დასრულდა. **ომარ თეთრაძის** გუნდმა ამოცანა, პრემიერლიგაში გადასვლა, წინა ტურში შეასრულა, ამიტომაც ბოლო ტურში მოეშვა და „მორდოვიასთან" 0:2 დათმო. ჩემპიონატის დასრულებამდე 2 წუთით ადრე **გიორგი ნავალოვსკიმ** წითელი ბარათი მიიღო, არადა ის ახალი შესული იყო მოედანზე. **ოთარ მარცვალაძემ** მხოლოდ ბოლო 4 წუთი ითამაშა, სხვა ჩვენებურები არ გამოჩენილან. 26 წლის მარცვალაძე I დივიზიონის ბომბარდირი გახდა 21 გოლით (33 თამაში). მან სპარტაკ გოგნიევს („კრასნოდარი" და კამაზ-ი) 3 გოლით აჯობა. „ვოლგამ" ჩემპიონატი 71 ქულით (II ადგილი) დაასრულა.

უკრაინაში „კრივბასისა" და „შახტარის" დაპირისპირებაში (0:2) არც ერთი ჩვენებური არ გამოჩენილა (**ალექსანდრე კობახიძე** და **ბექა გოცირიძე** განაცხადშიც არ ყოფილა). სამაგიეროდ ამ გუნდების სარეზერვო შემადგენლობათა მატჩში, რომელიც „შახტარმა" 7:0 მოიგო ანგარიში **თორნიკე ოქრიაშვილმა** გახსნა.

**დიმიტრი ტატანაშვილის** „მეტალურგმა" 2:1 მოუგო კიევის „არსენალს". ზაპოროჟიელთა ქართველმა ლეგიონერმა 52-ე წუთამდე ითამაშა, მას 35-ე წუთზე შეექმნა საგოლე მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენა. მასპინძელთა მწვრთნელი **ოლეგ ლუტკოვი** უკმაყოფილო იყო ქართველის თამაშით: „დიმას ბევრი ტექნიკური წუნი ჰქონდა, ასე რომ, ვერ ვიტყოდი, რომ მისი თამაშით ბოლომდე კმაყოფილი ვარ. ცენტრფორვარდის პოზიციაზე გვიჭირს, ფონს არსებული რესურსებით გავდივართ". „მეტალურგი" 9 ქულით ბოლო ადგილზეა.

როგორც იქნა, „ილიჩივეცის" რიგებში **გიორგი გაბედავა** გამოჩნდა. მისმა გუნდმა 3:0 მოუგო დონეცკში „მეტალურგს", ქართველი ფორვარდი კი მოედანზე 87-ე წუთზე ვიხილეთ, მას ერთ წუთში შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ იყოჩაღა.

**ვასილ გიგიაძის** „ტავრიამ" სტუმრად აჯობა „მეტალისტს" - 3:2. ქართველი ფორვარდი 79-ე წუთზე გამოჩნდა. ლვოვში „კარპატი"-„დნიპროს" მატჩში სამივე ქართველი (**სანდრო გურული** მასპინძელთაგან, **უჩა ლობჟანიძე** და **ჯაბა კანკავა** სტუმართა შორის) სათადარიგო იყო.

სერბეთის ჩემპიონატში „ვოივოდინამ" 4:0 გაანადგურა „ბორაცი". სტუმართა რბევას სათავე მე-14 წუთზე **გიორგი მერებაშვილმა** დაუდო, რომელმაც ჩემპიონატში მე-4 გოლი პენალტის ნიშნულიდან გაიტანა. ოფიციალურ საიტზე ჩვენებურის თამაში 7 ბალით შეაფასეს. „ვოივოდინა" 22 ქულით მე-4 ადგილზეა.

**გურამ კაშიამ** 90 წუთი ითამაშა „ვიტესისა" და „ალკმაარის" დაპირისპირებაში - 1:1. მერაბ ჟორდანიას გუნდს 10 ქულა აქვს და მე-16 ადგილზეა. საბერძნეთში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისი" შინ 1:2 დამარცხდა პაოკ-თან. ქართველი მცველი სათადარიგო იყო.

სხვა ჩემპიონატებში თავი გამოიჩინეს **ირაკლი გეფერიძემ** („ჰერცლია", ისრაელის ლეუმითლიგა), **შოთა ჯიქიამ** („ულისი", სომხეთი), **გიგა მამულაშვილმა** („ტირასპოლი", მოლდოვა), **ლევან კორგალიძემ** („დაჩია", მოლდოვა) და **დავით ჯანელიძემ** („სკონტო", ლატვია).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოთარ მარცვალაძე



ზურაბ ხიზანიშვილი (№15)

# დერბიმ ლაციო შეაჩერა



რომა ლაციოს გადაახტა

ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა, სადაც დედაქალაქის ორი გუნდი შეერკინა ერთმანეთს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დერბიმ გაამართლა ჩვენი მოლოდინი, რადგან ვიხილეთ საკმაოდ კარგი ფეხბურთი: მაღალი ტემპი, ბრძოლა, ასეთი მატჩებისთვის დამახასიათებელი ნერვული ატმოსფერო და მოკლედ, ყველაფერი ის, რაც როგორც წესი თან ახლავს დიდ თამაშებს.

შეხვედრა ორმხრივ იერიშებში ნარიმართა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უკეთესი შთაბეჭდილება მაინც "რომამ" დატოვა. გამომდინარე აქედან, დაფიქსირებული ანგარიში სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება. „ჯალოროსი" გაცილებით უფრო გააზრებულად და ეფექტურად უტევდა, მეტი ხიფათი შექმნა მეტოქის კართან და დაცვაშიც საკმაოდ ორგანიზებულად გაისარჯა. ნომინალურ სტუმართა მხრიდან რამდენიმე დამუშავებული კომბინაცია და სტანდარტულის გათამაშებაც ვიხილეთ – ერთი სიტყვით, "რომა" უკეთ აღმოჩნდა მზად ამ შეხვედრისთვის და შედეგიც შესაბამისი მიიღო. **კლაუდიო რანიერიმ** ბეწვის ხიდზე გაიარა – მას კიდევ ერთხელ ემუქრებოდა პოსტის დატოვების საფრთხე, მაგრამ ამჯერადაც გამოძვრა და ამ მნიშვნელოვანი გამარჯვებით გვარიანად გაიმყარა პოზიციები. დაახლოებით მსგავსი ვითარება გახლდათ "რომა"-"ინტერის" მატჩის წინ, მაშინაც ცუდად ჰქონდა რანიერის საქმე, მაგრამ დედაქალაქელებმა **მირკო ვუჩინიჩის** გოლის წყალობით მილანური გრანდი დაამარცხეს და მწვრთნელი პოსტზე დარჩა. მაშინ ბევრი იძახდა, რომ "ინტერის" ძლევით "რომა" აღმავლობის გზას დაადგებოდა, თუმცა ასე არ მოხდა – ვნახოთ, დერბიში გამარჯვება თუ შეასხამს ფრთებს "ჯალოროსის" და დაიძლევა თუ არა მძიმე კრიზისი.

"ლაციომ" კი ითამაშა ისე, როგორც თამაშობს სეზონის სტარტიდან მოყოლებული. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ **ედუარდო რეიას** საკმაოდ დისციპლინირებული გუნდი ჰყავს და თითოეულმა ფეხბურთელმა იცის, თუ რა უნდა გააკეთოს მოედანზე. თუმცა, სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ ძალიან შორია და ამაზე თვით რეია საუბრობდა ერთ-ერთ ინტერვიუში. "ბიანკოჩელესტეს" კრეატიულ ფეხბურთელებში უჭირს და დერბიში ეს ნათლად გამოჩნდა – ყველაზე უფრო შემოქმედი ყაიდის მოთამაშე **მაურო სარატეა**, თუმცა არგენტინელი მიმდინარე სეზონში ვერა და ვერ გაიხსნა, რაც მართლაც რომ დასანანია. საუკეთესო ფორმაში მყოფი სარატე მოულოდნელად მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ "ლაციოს" ჰაერივით სჭირდება და ვნახოთ, დაიბრუნებს თუ არა ოპტიმალურ ფორმას... სანამ სარატე ჩრდილშია, ურუგვაელმა **ერნანესმა** ითავა ფანტაზისტას როლი, თუმცა ბრწყინავს და შეუცვლელი ფიგურააო, ვერც მასზე დავიჩემებთ. ძალიან კარგი ტექნიკა აქვს **პასკუალე ფოჯას**, თუმცა ჩვენდა გასაკვირად, ძალიან იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში. არადა, კრეატიული ფეხბურთელია, მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღება სჩვევია და ამ კუთხით, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია არა მარტო "ლაციოში", მთლიანად ჩემპიონატში. თუმცა, რეია მას არ სწყალობს და თუ რატომ, ძნელი სათქმელია. ფოჯა რომ ძალიან კარგი ფეხბურთელია, დერბიშიც გამოჩნდა – მეორე ნახევარში შევიდა მოედანზე და აშკარად გაამწვავა "ბიანკოჩელესტეს" იერიშები.

მოკლედ, "რომამ" 2:0 დაამარცხა მეტოქე და ორივე გოლი თერთმეტმეტრიანი დარტყმიდან გავიდა. პირველ შემთხვევაში **ფაბიო სიმპლისიომ** იყოჩაღა, შორი მანძილიდან უძლიერესად დაარტყა და ბურთი მეტოქე გუნდის მცველმა ხელით მოიგერია – მატჩის არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი და **მარკო ბორიელომაც** შანსი ხელიდან არ გაუშვა. არადა, **ფერნანდო მუსლერა** საკმაოდ ახლოს იყო მიზანთან, შეახო კიდეც ბურთს ხელი, თუმცა ველარ შეიმაგრა და ისღა დარჩენოდა, ხელები თავში წაეშინა. მეორე ეპიზოდის გმირი **ჟულიო ბაპტიშტა** გახდა, მართალია თერთმეტმეტრიანი **მირკო ვუჩინიჩმა** გამოიყენა, მაგრამ რომ არა ბრაზილიელი, ჩერნოგორიელი უგოლოდ ჩაამთავრებდა შეხვედრას: ჟულიო მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, მცველისთვის გვერდის ავლა სცადა, ფეხზე წამოედო და გაზონზე აღმოჩნდა – ამ ეპიზოდშიც მსაჯმა თამაშის წესის დარღვევა აღმოაჩინა და ბევრი არ უფიქრია ისე მიიღო გადაწყვეტილება. არადა, არბიტრს თავის შეკავებაც შეეძლო, ბრაზილიელმა აშკარად თერთმეტმეტრიანზე ითამაშა და ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია სიტყვა: წამოედო... მოკლედ, ასეა თუ ისე, "რომამ" ორი თერთმეტმეტრიანი გამოიყენა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. აქვე ვთქვათ, რომ ნამატჩევს "ლაციოს" ფეხბურთელები მსაჯობით გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას – არბიტრს ორჯერ "რომას" კარშიც შეეძლო პენალტის დანიშვნა, თუმცა ორივეჯერ ნაუყრუა, რითაც გულშემატკივართა აღშფოთება გამოიწვია.

მატჩის შემდეგ, **კლაუდიო რანიერი** კმაყოფილებას ვერ მალავდა: *"ამ კვირაში ორჯერ გავტეხეთ ნავსი – ჯერ ჩემპიონთა ლიგაზე გავიმარჯვეთ პირველად გასვლით თამაშში და დღეს უკვე იგივე სერია A-ში გავაკეთეთ. მართალია, თამაში „ოლიმპიკოზე" გაიმართა, მაგრამ ტრიბუნებზე "ლაციოს" გაცილებით მეტი გულშემატკივარი ჰყავდა. ძალიან მიხარია, რომ გააზრებულად ვითამაშეთ და სრულიად დამსახურებული ქულები მოვიპოვეთ. ბოლოდროინდელი აღმასვლა არა იმდენად ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებამ, არამედ ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა განაპირობა. ჩემმა შეგირდებმა კარგი გაკვეთილი მიიღეს კრიზისისგან, სწორად მიუდგნენ საქმეს და ვითარება რადიკალურად გამოასწორეს. შესანიშნავი შეხვედრა ჩავატარეთ და დარწმუნებული ვარ, მომდევნო პაექრობებსაც აღმაფრენით გავმართავთ".*

მეორე გოლის ავტორმა მირკო ვუჩინიჩმა პირდაპირ განაცხადა, რომ კრიზისი დასრულდა: *"შუა კვირაში "ბაზელი" დავამარცხეთ, რასაც დერბიში გამარჯვება მოჰყვა. ეს იმას ნიშნავს, რომ კრიზისი დავძლიეთ და წარმატებების ეტაპი დადგა. დღეს დავამტკიცეთ, რომ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია".*

რომაულ დერბიმდე „ინტერმა" გამართა შეხვედრა და ყველასათვის მოულოდნელად, საკუთარ მოედანზე „ბრეშას" დაუზავდა. ჩემპიონთა ლიგაზე „ტოტენჰემთან" ნაწვნევი მარცხის შემდეგ, მილანური გრანდისგან გულშემატკივრები მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდნენ, თუმცა კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ „ინტერში" ყველაფერი რიგზე ვერ არის. ფაქტია, რომ **რაფაელ ბენიტესის** გუნდს რაღაც აკლია, ის, რაც ჰქონდა **ჟოზე მოურინიოს** ფორმაციის „ნერაძურის". ეგ კი არა, მილანელები ნაგებას გადაურჩნენ – **კარაჩოლომ** საწყის წუთებშივე გახსნა ანგარიში და შემდეგ, „ბრეშა" ყრუ დაცვაში ჩადგა. „ინტერი' მთელი გუნდით გადავიდა მეტოქის ნახევარზე, თუმცა მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა – ისიც შეხვედრის დასრულებამდე დაახლოებით თხუთმეტი წუთით ადრე და თანაც, თერთმეტმეტრიანით. „ინტერმა" ორი ქულა დაკარგა და სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციაზე ჩამოქვეითდა. აქვე, ისიც ვთქვათ, რომ „ბრეშასთან" პაექრობა კოშმარული გამოდგა **ვალტერ სამუელისთვის** – არგენტინელმა მცველმა ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და წინასწარი დიაგნოზით, მისთვის სეზონი უკვე დასრულებულია.

გაიმარჯვა მეორე მილანურმა გუნდმა და აინაცვლა კიდეც მეორე პოზიციაზე. **მასიმილიანო ალეგრიმ** იმ ფეხბურთელთა ნაწილი დაასვენა, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაზე „რეალს" შეეტოქნენ და ამან გაამართლა კიდეც. პირველი გოლი „ბარის" **მასიმო ამბროზინიმ** გაუტანა, მეორე **მატიო ფლამინიმ**, მესამე კი **ალეშანდრე პატომ**. მასპინძლებმა ორჯერ იხეირეს და საბოლოოდ, 3:2 „მილანის" სასარგებლოდ. ძირითად შემადგენლობაში გახლდათ **კლარენს ზეედორფიც**, რომელმაც საგოლე გადაცემა მიითვალა აქტივში. „ლაციოს" მარცხის და „ინტერის" ფრის ფონზე, „მილანის" გამარჯვებას კიდევ უფრო მეტი ფასი ეძლევა – ჩახედეთ სატურნირო ცხრილს და ამაში თავადაც დარწმუნდებით.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

### მომდევნო ტური

**10 ნოემბერი: ბრეშა-იუვენტუსი, კალიარი-ნაპოლი, კატანია-უდინეზე, ჩეზენა-ლაციო, კიევო-ბარი, ჯენოა-ბოლონია, ლეჩე-ინტერი, მილანი-პალერმო, რომა-ფიორენტინა. 11 ნოემბერი: პარმა-სამპდორია.**

### ბოლონია–ლეჩე 2:0

**ბოლონია (4-3-3):** ვივიანო – რუბინი, პორტანოვა, ბრიტოსი, გარიჩი – რადოვანოვიჩი (71. კაზარინი), პერესი (61. რამირესი), დელა როკა – ბუშე, მეჯორინი (78. ხიმენესი), დი ვაიო.

**ლეჩე (4-3-3):** როზატი – გუსტავო, ჯულიატო, რისპოლი, მესბაჰი – მუნარი, გროსმიულერი (70. კოპოლა), ჯაკომაცი – დი მიკელე (83. ჯედა), პიატი (46. პიატი), კორვია.

**გოლები:** 1:0 დი ვაიო (84), 2:0 ხიმენესი (85).

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 14(5)-7(4); **ბურთის ფლობა:** 55%/45%.

**მაყურებელი:** 14 000

### ინტერი–ბრეშა 1:1

**ინტერი (4-4-2):** კასტელაცი – მაიკონი (27. კორდობა), ლუსიო, სამუელი (50. სანტონი), კივუ - ძანეტი, კოუტინიო - პანდევი, სნეიდერი (46. ობი), მილიტო - ეტოო.

**ბრეშა (4-3-2-1):** არკარი – ბერარდი, ძებინა, ვიდალი, დალამანო – კორდოვა (66. ბუდელი), ბაიოკო, პეტეშაი – კონე (76. ედერი), დიამანტი (83. ბეგა) - კარაჩოლო.

**გოლები:** 0:1 კარაჩოლო (14), 1:1 ეტოო (73-პენ.).

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 6-11; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 19(6)-9(4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 45 000

### ფიორენტინა–კიევო 1:0

**ფიორენტინა (4-2-3-1):** ბორუცი – კომოტო, კროლდრუპი, გამბერინი, პასკუალი – ბოლატი (46. ვარგასი), დონადელი – მარკიონი (73. ჩერჩი), მუტუ, სანტანა – ჯილარდინო (87. გულანი).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ანდრეოლი (75. იოკიჩი), ფრეი (48. მანდელი), ჩეზარი, მანტოვანი – ბენტივოლიო (68. რიგონი), გუანა, კონსტანტი – მარკოლინი – თერეუ, მოსკარდელი.

**გოლი:** ჩერჩი (81).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 11(7)-8(5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 21 236

### ბარი–მილანი 2:3

**ბარი (4-4-2):** ჟილე – ბელმონტე, ა. მაზიელო, როსი, პარიზი – პულცეტი (61. რივასი – 77. დალესანდრო), ალმირონი (28. გაცი), ალვარესი, დონატი – კუტუზოვი, ბარეტო.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, იეპესი, ნესტა, ძამბროტა - გატუზო, ამბროზინი, ფლამინი – ზეედორფი (78. პირლო) – რობინიო (63. პატო), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 ამბროზინი (4), 0:2 ფლამინი (31), 1:2 კუტუზოვი (65), 1:3 პატო (72), 2:3 ბარეტო (90).

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 7(3)-9(6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 36 000

### იუვენტუსი–ჩეზენა 3:1

| ანთალია-ბურსა | 2:2 |
| ანკარაგიუჯუ-გაზიანთეფი | 0:2 |
| ფენერბაჰჩე-ესქიშეჰირი | 4:2 |
| სივასი-ბუიუქშეჰირი | 0:4 |
| მანისა-კონია | 0:1 |
| ტრაბზონი-გალათასარაი | 2:0 |
| ბეშიქთაში-კასიმფაშა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 11 | 8 | 2 | 1 | 27-8 | 26 |
| 2. ბურსა | 11 | 7 | 4 | 0 | 21-7 | 25 |
| 3. კაისერი | 11 | 7 | 3 | 1 | 17-6 | 24 |
| 4. ფენერბაჰჩე | 11 | 6 | 3 | 2 | 29-14 | 21 |
| 5. ბუიუქშეჰირი | 11 | 6 | 1 | 4 | 15-9 | 19 |
| 6. ყარაბუქი | 11 | 5 | 3 | 3 | 18-14 | 18 |
| 7. ანთალია | 11 | 5 | 3 | 3 | 16-16 | 18 |
| 8. ბეშიქთაში | 10 | 5 | 1 | 4 | 16-11 | 16 |
| 9. გალათასარაი | 11 | 5 | 1 | 5 | 14-15 | 16 |
| 10. გაზიანთეფი | 11 | 3 | 5 | 3 | 8-8 | 14 |
| 11. ანკარაგიუჯუ | 11 | 4 | 2 | 5 | 16-18 | 14 |
| 12. მანისა | 11 | 4 | 0 | 7 | 15-20 | 12 |
| 13. გენჩლერი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-17 | 12 |
| 14. ესქიშეჰირი | 11 | 2 | 4 | 5 | 9-14 | 10 |
| 15. კონია | 11 | 2 | 3 | 6 | 11-19 | 9 |
| 16. ბუკა | 11 | 1 | 4 | 6 | 5-13 | 7 |
| 17. სივასი | 11 | 1 | 4 | 6 | 9-26 | 7 |
| 18. კასიმფაშა | 10 | 0 | 2 | 8 | 7-28 | 2 |

### II დივიზიონი

XI ტური

რიზე-მერსინი 3:0; ახისარი-ალთაი 1:0; გირეშუნი-დიარბაქირი 1:1; გიუნგორენი-ბოლუ 1:4; ქარსიაქა-სამსუნი 3:2; ბბ გაზიანთეფი-ქართალი 0:0; დენიზლი-თავსანლი 1:0; ერჩიესი-ადანა დღეს.

## ბელარუსი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ნაფტანი-დნეპრი | 1:2 |
| პარტიზანი-ვიტებსკი | 0:1 |
| დინამო (ბრ)-ტორპედო | 3:1 |
| ნემანი-ბელშინა | 2:0 |
| მინსკი-შახტიორი | 1:2 |
| ბატე-დინამო (მნ) | დღეს |

## ბოსნია

XIII ტური

| | |
|---|---|
| დრინა-სლავია | 2:1 |
| ლეოტარი-ჩელიკი | 4:1 |
| ველეჟი-სლოგა | 1:0 |
| ჟეპჩე-რუდარი | 0:0 |
| ტრავნიკი-ზრინსკი | 1:2 |
| ოლიმპიკი-სლობოდა | 2:2 |
| შირიკი ბრიეგი-სარაევო | 2:1 |
| ჟელეზნიჩარი-ბუდუჩნოსტი | 2:0 |

## ბულგარეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| მონტანა-ლიტექსი | 0:2 |
| ბეროე-ჩერნომორეცი | 0:0 |
| ლოკომოტივი (პ)-აკადემიკი | 3:0 |
| მინიორი-რაკოვსკი | 2:1 |
| ლოკომოტივი (ს)-სლივენი | 3:0 |
| სლავია-ლევსკი | 2:2 |
| კალიაკრა-ჩერნო მორე | 4:0 |
| პირინი-ცსკა | დღეს |

## ხორვატია

XIV ტური

| | |
|---|---|
| დრაგოვოლიაცი-სპლიტი | 0:4 |
| სიბალია-ლოკომოტივა | 2:1 |
| რიეკა-ინტერი | 0:2 |
| სლავენი-ისტრა | 2:1 |
| ვარაჟდინი-შიბენიკი | 2:2 |
| კარლოვაცი-ოსიეკი | 1:0 |
| დინამო-ზადარი | 1:0 |
| ჰაიდუკი-ზაგრები | 4:1 |

## ჩეხეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| სლავია-იაბლონეცი | 0:3 |
| ლიბერეცი-ჰრადეცი | 3:0 |
| ბანიკი-პლზენი | 0:2 |
| ბრნო-პრშიბრამი | 0:1 |
| ბოლესლავი-სლოვაცკო | 2:3 |
| სიგმა-ბუდეიოვიცე | 5:1 |
| ტეპლიცე-ბოჰემიანსი | 0:2 |
| სპარტა-უსტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 15 | 13 | 1 | 1 | 42-14 | 40 |
| 2. სიგმა | 15 | 8 | 4 | 3 | 29-10 | 28 |
| 2. სპარტა | 14 | 9 | 1 | 4 | 21-10 | 28 |
| 4. იაბლონეცი | 15 | 7 | 3 | 5 | 26-16 | 24 |
| 5. ბოლესლავი | 15 | 6 | 6 | 3 | 25-19 | 24 |
| 6. ტეპლიცე | 15 | 7 | 3 | 5 | 20-20 | 24 |
| 7. ლიბერეცი | 15 | 5 | 4 | 6 | 20-20 | 19 |
| 8. სლოვაცკო | 15 | 6 | 1 | 8 | 17-25 | 19 |
| 9. ბუდეიოვიცე | 15 | 4 | 6 | 5 | 12-23 | 18 |
| 10. ჰრადეცი | 15 | 4 | 5 | 6 | 12-18 | 17 |
| 11. პრშიბრამი | 15 | 4 | 5 | 6 | 9-15 | 17 |
| 12. ბოჰემიანსი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-20 | 16 |
| 13. სლავია | 15 | 3 | 6 | 6 | 16-21 | 15 |
| 14. ბანიკი | 15 | 4 | 3 | 8 | 16-22 | 15 |
| 15. ბრნო | 15 | 4 | 0 | 11 | 19-31 | 12 |
| 16. უსტი | 14 | 2 | 6 | 6 | 10-27 | 12 |

### II დივიზიონი

XV ტური

პლუჩინი-ვიქტორია 3:4; ვლაშიმი-ჩასლავი 2:3; მოსტი-ტრშინეცი 0:0; დუკლა-სოკოლოვი 1:0; კარვინა-იჰლავა 2:1; კლადნო-სეზიმოვო 1:2; სლოვანი-სპარტა II 2:0; ზნოიმო-ვლინი 1:1.

## ესტონეთი

XXXVI ტური

| | |
|---|---|
| კურესაარე-ტულევიკი | 4:2 |
| ტრანს ნარვა-კალევი | 2:1 |
| კალიუ-ლოოტუსი | 2:0 |
| პაიდე-ფლორა | 1:4 |
| ლევადია-ტამეკა | 6:0 |

## უნგრეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| კეჩკემეტი-უიპეშტი | 4:3 |
| ჰონვედი-დიორი | 1:1 |
| კაპოშვარი-ვიდეოტონი | 1:4 |
| ჰალადაში-მტკ | 2:0 |
| ლომბარდ პაპა-ვაშაში | 2:1 |
| პაკში-შიოფოკი | 0:0 |
| ზალაეგერსეგი-ფერენცვაროში | 2:1 |
| სოლნოკი-დებრეცენი | 4:0 |

## ისრაელი

IX ტური

| | |
|---|---|
| ბეითარი-ჰაპოელი (ფ-თ) | 0:2 |
| ბნეი საქნინი-აშდოდი | 0:2 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (რ-გ) | 2:0 |
| ირონი-ბნეი იეჰუდა | 2:2 |
| მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (ა) | 2:3 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (აშ) | 2:0 |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (ჰ) | 1:3 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (თ-ა) | დღეს |

## ლატვია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| დაუგავა-ბლაზმა | 3:1 |
| სკონტო-იაუნიბა | 6:0 |
| იურმალა-იეგლავა | 1:1 |
| მეტალურგსი-ოლიმპსი | 2:1 |
| ვენტსპილსი-ტრანზიტსი | 5:0 |

## ლიტვა

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ატლანტასი-კრუოია | 0:1 |
| ბანგა-მაჟეიკიაი | 6:1 |
| ტაურასი-კლაიპედა | 5:0 |
| შიაულიაი-ჟალგირისი | 2:0 |
| სუდუვა-ეკრანასი | 2:0 |

## არგენტინა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპო-ურაკანი | 4:0 |
| ესტუდიანტესი-ლანუსი | 3:0 |
| ხიმნასია-კილმესი | 1:0 |
| გოდოი-ნიუელსი | 0:0 |
| რასინგი-არსენალი | 2:2 |
| ბოკა ხუნიორსი-არგ. ხუნიორსი | 0:2 |
| სან ლორენსო-ინდეპენდიენტე | 1:1 |
| ოლ ბოისი-რივერ პლეიტი | 1:0 |
| კოლონი-ტიგრე | გვ. დასრულდა |
| ბანფილდი-ველესი | გვ. დასრულდა |

## მოლდოვა

XV ტური

| | |
|---|---|
| კოსტულენი-დაჩა | 1:2 |
| ცსკა-ისკრა | 0:0 |
| დინამო-ტირასპოლი | 0:3 |
| აკადემია-ნისტრუ | 1:0 |
| სფინტული-ვიიტორული | 0:4 |
| ზიმბრუ-გაგაუზია | 1:0 |
| შერიფი-ოლიმპია | 1:1 |

## ჩერნოგორია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბარი-პეტროვაცი | 1:1 |
| ბუდუჩნოსტი-ზეტა | 0:0 |
| დეჩიჩი-მოგრენი | 0:1 |
| გრბალი-მლადოსტი | 0:1 |
| რუდარი-მორნარი | 2:1 |
| სუტიესკა-ლოვჩენი | 1:2 |

## პოლონეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| კრაკოვია-ვისლა | 0:1 |
| ზაგლები-ვიძევი | 1:0 |
| გურნიკი-პოლონია (ბ) | 1:1 |
| ლეგია-იაგელონია | 2:0 |
| ბელხატოვი-შლიონსკი | 0:1 |
| არკა-კორონა | 2:1 |
| პოლონია (ვ)-ლეხია | 1:2 |
| რუხი-ლეხი | 1:0 |

## რუმინეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-გლორია | 2:1 |
| უნივერსიტატეა (კრ)-ოცელული | 0:1 |
| პანდური-ტარგუ | 4:1 |
| ასტრა-ბრაშოვი | 3:0 |
| ტიმიშოარა-ვასლუი | 2:1 |
| სპორტული-უნივერსიტატეა (კლ) | 2:0 |
| კლუჟი-დინამო | 1:0 |
| ვიქტორია-უნირეა | დღეს |

## რუსეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ნალჩიკი-სატურნი | 2:0 |
| ამქარი-ტერეკი | 2:0 |
| ანჟი-ტომი | 1:0 |
| როსტოვი-დინამო | 1:1 |
| სიბირი-ზენიტი | 2:5 |
| ალანია-ლოკომოტივი | 0:0 |
| ცსკა-კრილია | 4:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 26 | 19 | 6 | 1 | 53-16 | 63 |
| 2. ცსკა | 26 | 16 | 6 | 4 | 44-19 | 54 |
| 3. რუბინი | 26 | 15 | 9 | 2 | 32-11 | 54 |
| 4. სპარტაკი | 26 | 13 | 7 | 6 | 40-28 | 46 |
| 5. ნალჩიკი | 27 | 12 | 7 | 8 | 37-30 | 43 |
| 6. ლოკომოტივი | 27 | 12 | 7 | 8 | 31-27 | 43 |
| 7. დინამო | 27 | 9 | 11 | 7 | 35-27 | 38 |
| 8. როსტოვი | 27 | 10 | 4 | 13 | 25-34 | 34 |
| 9. ტერეკი | 27 | 8 | 8 | 11 | 25-28 | 32 |
| 10. ტომი | 27 | 8 | 6 | 13 | 30-41 | 30 |
| 11. სატურნი | 27 | 7 | 8 | 12 | 22-34 | 29 |
| 12. ანჟი | 27 | 7 | 6 | 14 | 22-35 | 27 |
| 13. კრილია | 27 | 6 | 8 | 13 | 27-40 | 26 |
| 14. ამქარი | 27 | 7 | 4 | 16 | 19-32 | 25 |
| 15. ალანია | 27 | 6 | 7 | 14 | 21-38 | 25 |
| 16. სიბირი | 27 | 4 | 6 | 17 | 32-55 | 18 |

### II დივიზიონი

XXXVIII ტური

| | |
|---|---|
| ავანგარდი-სკა ენერგია | 1:5 |
| დინამო (ბრ)-დინამო (ს-პ) | 4:1 |
| კრასნოდარი-ურალი | 1:0 |
| როტორი-ხიმკი | 0:1 |
| სალუტი-ლუჩ ენერგია | 0:1 |
| ჟემჩუჟინა-ირტიში | 2:1 |
| გაზოვიკი-კუბანი | 2:1 |
| მორდოვია-ვოლგა | 2:0 |
| ნ. ნოვგოროდი-კამაზ | 3:1 |
| შინიკი-ბალტიკა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კუბანი | 38 | 24 | 8 | 6 | 51-20 | 80 |
| 2. ვოლგა | 38 | 19 | 14 | 5 | 62-25 | 71 |
| 3. ნ. ნოვგოროდი | 38 | 21 | 7 | 10 | 60-41 | 70 |
| 4. კამაზ | 38 | 19 | 9 | 10 | 55-43 | 66 |
| 5. კრასნოდარი | 38 | 17 | 10 | 11 | 60-44 | 61 |
| 6. მორდოვია | 38 | 16 | 10 | 12 | 53-40 | 58 |
| 7. ურალი | 38 | 14 | 16 | 8 | 38-28 | 58 |
| 8. ჟემჩუჟინა | 38 | 16 | 9 | 13 | 45-44 | 57 |
| 9. გაზოვიკი | 38 | 16 | 9 | 13 | 45-48 | 57 |
| 10. შინიკი | 38 | 14 | 13 | 11 | 43-31 | 55 |
| 11. ს-ენერგია | 38 | 15 | 8 | 15 | 37-39 | 53 |
| 12. ლ-ენერგია | 38 | 13 | 13 | 12 | 42-42 | 52 |
| 13. ხიმკი | 38 | 11 | 17 | 10 | 39-38 | 50 |
| 14. დინამო (ბრ) | 38 | 11 | 11 | 16 | 53-54 | 44 |
| 15. ბალტიკა | 38 | 11 | 10 | 17 | 38-47 | 43 |
| 16. დინამო (ს-პ) | 38 | 9 | 10 | 19 | 32-53 | 37 |
| 17. სალუტი | 38 | 7 | 13 | 18 | 30-47 | 34 |
| 18. როტორი | 38 | 9 | 7 | 22 | 27-64 | 34 |
| 19. ირტიში | 38 | 6 | 10 | 22 | 26-52 | 28 |
| 20. ავანგარდი | 38 | 7 | 6 | 25 | 31-67 | 27 |

## სლოვაკეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-სლოვანი | 0:0 |
| ნიტრა-ჟილინა | 0:2 |
| რუჟომბეროკი-კოშიცე | 2:2 |
| ტატრანი-მორავცე | 1:0 |
| სენიცა-დ. სტრედა | 1:1 |
| ტრნავა -დუბნიცა | 4:0 |

## სლოვენია

XVI ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-ცელიე | 2:2 |
| გორიცა-დომჟალე | 0:3 |
| რუდარი-ტრიგლავი | 5:0 |
| მარიბორი-კოპერი | 2:0 |
| ოლიმპია-პრიმორიე | 3:0 |

## სერბეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ჩუკარიჩკი-მეტალაცი | 1:2 |
| სპარტაკი-ინჯია | 5:2 |
| იაგოდინა-ჰაიდუკი | 3:0 |
| იავორი-სლობოდა | 1:0 |
| ვოივოდინა-ბორაცი | 4:0 |
| ცრვენა ზვეზდა-ოფკ | 1:0 |
| ბორჩა-პარტიზანი | 0:3 |
| სარტიდი-რადი | 0:9 |

## უკრაინა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ვორსკლა-ვოლინი | 0:1 |
| სევასტოპოლი-ზორია | 0:1 |
| კრივბასი-შახტარი | 0:2 |
| მეტალურგი (ზ)-არსენალი | 2:1 |
| მეტალურგი (დ)-ილიჩოვეცი | 0:3 |
| დინამო-ობოლონი | 0:2 |
| მეტალისტი-ტავრია | 2:3 |
| კარპატი-დნიპრო | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 16 | 14 | 1 | 1 | 29-5 | 43 |
| 2. დინამო | 16 | 11 | 2 | 3 | 31-15 | 35 |
| 3. მეტალისტი | 16 | 10 | 1 | 5 | 30-17 | 31 |
| 4. დნიპრო | 16 | 8 | 4 | 4 | 23-10 | 28 |
| 5. კარპატი | 16 | 7 | 4 | 5 | 18-15 | 25 |
| 6. არსენალი | 16 | 6 | 3 | 7 | 19-19 | 21 |
| 7. ტავრია | 16 | 6 | 3 | 7 | 26-26 | 21 |
| 8. ვოლინი | 16 | 6 | 3 | 7 | 14-18 | 21 |
| 9. ვორსკლა | 16 | 5 | 4 | 7 | 16-17 | 19 |
| 10. მეტალურ (დ) | 16 | 5 | 3 | 8 | 17-24 | 18 |
| 11. ობოლონი | 16 | 5 | 3 | 8 | 14-22 | 18 |
| 12. ზორია | 16 | 4 | 6 | 6 | 16-20 | 18 |
| 13. ილიჩოვეცი | 16 | 4 | 5 | 7 | 23-36 | 17 |
| 14. კრივბასი | 16 | 3 | 8 | 5 | 14-20 | 17 |
| 15. სევასტოპოლი | 16 | 3 | 5 | 8 | 12-24 | 14 |
| 16. მეტალურ (ზ) | 16 | 2 | 3 | 11 | 7-21 | 9 |

## ბრაზილია

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ატ. გოიანიენსე-ინტერნასიონალი | 2:2 |
| ატ. მინეირო-სანტოსი | 2:2 |
| გრემიო-სეარა | 5:1 |
| ავაი-ბოტაფოგო | 0:0 |
| გრემიო პრუდენტე-გოიასი | 4:1 |
| სან პაულუ-კორინთიანსი | 0:2 |
| ვიტორია-კრუზეირო | 0:1 |
| ფლამენგო-ატ. პარანაენსე | გვ. დასრულდა |
| ფლუმინენსე-ვასკო | გვ. დასრულდა |
| პალმეირასი-გუარანი | გვ. დასრულდა |

## ჩილე

XXIX ტური

| | |
|---|---|
| აუდაქსი-უნ. კონსეპსიონი | 4:1 |
| სან ფელიპე-უნ. კატოლიკა | 1:3 |
| ევერტონი-პალესტინო | 1:1 |
| ლა სერენა-კობრელოა | 1:0 |
| უნ. ესპანიოლა-უონდერერსი | 3:0 |
| უნ. დე ჩილე-კოლო კოლო | 2:2 |
| ს. მორნინგი-სან ლუისი | გვ. დასრულდა |
| ნუბლენსე-კობრესალი | გვ. დასრულდა |
| უაჩიპატო-ოჰიგინსი | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ემელეკი-ელ ნასიონალი | 2:0 |
| დეპ. კიტო-ესპოლი | 2:0 |
| ლდუ კიტო-დეპ. კუენკა | 2:0 |
| მაკარა-ინდეპენდიენტე | 0:2 |
| ოლმედო-ბარსელონა | 0:1 |
| უნ. კატოლიკა-მანტა | 3:0 |

## ურუგვაი

XI ტური

| | |
|---|---|
| ფენიქსი-სერო | 4:0 |
| რასინგი-დეფენსორი | 0:3 |
| პენიაროლი-რამპლა | 1:1 |
| ელ ტანკე-ლივერპული | 1:1 |
| მირამარი-რივერ პლეიტი | 1:1 |
| მონტევიდეო-ბელა ვისტა | 0:2 |
| ტაკუარემბო-დანუბიო | 0:3 |
| სენტრალი-ნასიონალი | 1:3 |

## მექსიკა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ტოლუკა-ესტუდიანტესი | 4:2 |
| ხაგუარესი-ატლასი | 2:1 |
| სან ლუისი-ს. ლაგუნა | 1:1 |
| გვადალახარა-კრუს ასული | 0:0 |
| პაჩუკა-კერეტარო | 2:1 |
| ტიგრესი-მორელია | 0:1 |
| ატლანტე-ამერიკა | 0:1 |
| პუებლა-მონტერეი | 2:0 |
| პუმასი-ნეკაქსა | 2:0 |

## აშშ

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-კოლორადო | 2:1 |
| სოლტ ლეიკი-დალასი | 1:1 |
| ლ. ანჯელესი-სიეტლი | გვ. დასრულდა |

## იაპონია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| სერეზო-შიმიძუ | 1:0 |
| შონანი-იოკოჰამა | 1:4 |
| კობე-ვეგალტა | 2:0 |
| ტოკიო-გამბა | 1:1 |
| ჯუბილო ივატა-ნიიგატა | 1:1 |
| კიოტო-კავასაკი | 3:4 |
| ომია-იამაგატა | 2:1 |
| ჰიროშიმა-ურავა | 2:1 |
| კაშიმა-ნაგოია | 1:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო. მსოფლიოს ჩემპიონატი


მინდია ბოდაველი


ალექსი დავითაშვილი

# უჩემპიონოდ დავრჩით

საქართველოს ნაკრებმა ოქროს მედლის გარეშე დაამთავრა გამოსვლა ტაშკენტში ჩატარებულ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. **ოლეგ იაძის** შეგირდთა მონაგარი სამი ვერცხლი და ორი ბრინჯაოა. შეგახსენებთ, რომ პირველ დღეს **დავით სვიმონიშვილი** (62) ფინალში დამარცხდა, **მინდია ბოდაველი** (90) და **ალექსი დავითაშვილი** (+100) კი მესამეზე გავიდნენ. ბოლო დღეს ამ მაჩვენებელს **ლევან ნახუცრიშვილმა** (68) და **ლევან ნიკლაურმა** (82) ვერცხლის მედლები შემატეს. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები 22 ქულით მესამე ადგილზე გავიდნენ რუსეთისა (34) და ბელარუსის (27) ნაკრებთა შემდეგ.

პირველი დღისგან განსხვავებით, იაძის შეგირდები ორჯერ გავიდნენ ფინალში, ორჯერ მოგვეცა ოქროს მოპოვების შანსი, მაგრამ ვერც ერთხელ გამოვიყენეთ და ვერცხლს დავჯერდით. ლევან ნახუცრიშვილი პირველ წრეში მაროკოელ **აბდერაჰიმ ელკარსის** დამარცხების შემდეგ მასპინძელ **დამირ მუჰიდოვს** შეხვდა და ეს ბარიერიც წარმატებით დაძლია. ასევე უპრობლემოდ დაამარცხა აზერბაიჯანელი **ნამირ სოლტანოვიც** და ნახევარფინალში გავიდა. აქ მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან, ყაზახ **არსენ ხატირთან** მოუნია ჭიდაობამ. სხვების მსგავსად, ჩვენებურმა ისიც ჩამოიცილა გზიდან და ფინალში ბელარუს **დმიტრი ბასილევთან** საჭიდაოდ გავიდა. სამწუხაროდ, შეხვედრის პერიპეტიებზე დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, თუმცა ფაქტია, რომ ნახუცრიშვილი ვერცხლს დასჯერდა.

ფინალამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა ნიკლაურის შემთხვევაშიც. ის პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი საკმაოდ ძლიერი ბელარუსი **მაგომედ აბდულგანილოვი** დაამარცხა. ასევე ძლიერი და უხერხული იყო მომდევნო მეტოქეც - მონგოლი **ტუვშინჯარგალ განიც**, მაგრამ ამასაც აჯობა და ნახევარფინალში - აზერბაიჯანელ **ელმადინ აჰმადოვსაც**. თუმცა ჩვენებურს ყველაზე ძლიერი მეტოქე მაინც ფინალში ელოდა - რუსი **რაის რახმატულინი** და ვერც ნიკლაურმა იყაჩაღა. როგორც უცხოურ ფორუმებზე წერენ, შეხვედრა რუსის აქტიურობით მიმდინარეობდა და დამთავრებამდე 40 წამით ადრე მტკივნეულით მოიგო.

ტაჯიკთა მიერ მოპოვებული ორი ვერცხლიდან ერთი **ნაბიმუხამად კორკაშევის** (100) მონაგარია, რომელმაც ფინალისკენ მიმავალ გზაზე ჩვენი იმედიც შეიწირა - მეორე წრეში **მირიან პავლიაშვილი** დაგვიმარცხა. ჩვენებური მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორია, უფრო ადრე მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა და ახლაც ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა, პირველ წრეში ისვენებდა კიდეც, მაგრამ ტაჯიკთან ვერას გახდა. მოგვიანებით სანუგეშოშიც დათმო შეხვედრა - მასპინძელ **ოლიმ კუდაიკულოვთან** და მეშვიდეზე დარჩა.

შაბათს კიდევ ერთი ქართველი ჭიდაობდა - **ავთანდილ ცინცაძე** (57). ის ჩემპიონატში წარმატებით კი ჩაერთო - ტაჯიკი **ოლიმ ზუკაევი** დაამარცხა, მაგრამ იქვე მომავალ ჩემპიონთან, ყაზახ **ერბოლატ ბაიბატუროვთან** წააგო და სანუგეშოში გადაერთო. სამწუხაროდ, იქ პირველივე შეხვედრა წააგო მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან, რუს **სერგეი იალუშევთან** და ესეც მეშვიდეზე დარჩა.

რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ ინტერნეტში უკვე შედარებით მეტი ინფორმაცია გაჩნდა, პირველ დღეს მოასპარეზე ჩვენებურთა ორთაბრძოლებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მსოფლიოს ექსჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილი** (52) პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ბელარუს **ანდრეი კურლიპასთან** წააგო და მერე არც სანუგეშოში ჩართვის საშუალება მისცემია. სვიმონიშვილს მხოლოდ ცენტრალური აზიის წარმომადგენლებთან, ანუ ყოფილ პოსტსაბჭოელებთან მოუწია პაექრობამ - პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ყირგიზი **ნურლან ერალიევი** და უზბეკი **ჯონიბეკ მუკუმოვი** დაამარცხა, ფინალი კი ყაზახ **აზამატ მუკანოვთან** წააგო. **კახა მამულაშვილი** (74) ნახევარფინალში გავიდა - თავიდან ესეც ისვენებდა, მერე კი ყაზახი **მადი კურიმბაევი** და ტაჯიკი **სულაიმონ სულაიმონოვი** დაჯაბნა. ნახევარფინალში ჩვენებური ბელარუს **ალექსეი რამანჩუკთან** დამარცხდა, რომელმაც შემდეგში ფინალი სომეხ **აშოტ დანიელიანთან** წააგო. სამწუხაროდ, ვერც ჩვენებურმა მოიგო ბრინჯაოსთვის შეხვედრა მასპინძელ **შურატ ბობოევთან** და მეხუთეზე დარჩა.

მსოფლიოს მომავალ ვიცე-ჩემპიონთან დამარცხდა მინდია ბოდაველი, რომელსაც ასევე მხოლოდ ცენტრალური აზიის ფალავნებთან მოუხდა პაექრობა. მან პირველივე წრეში ტაჯიკ **აბუბაქარ ზოიროვთან** წააგო. სამაგიეროდ, მოგვიანებით იყოჩაღა სანუგეშოში - ყაზახ **ორეს ზოლმაგომედოვთან** და უზბეკ **აკობირ ყურბანოვთან**, რითაც ბრინჯაოს მოიპოვა. ალექსი დავითაშვილმა მას შემდეგ, რაც გერმანელი **პეტერ რებჩერი** დაამარცხა, მტკივნეულით წააგო რუს **ვიტალი მინაკოვთან**. ეს უკვე ნახევარფინალში მოხდა და ამით პირდაპირ სანუგეშოს ფინალში გადავიდა, სადაც საყურადღებო გამარჯვება მიითვალა - იმავე მინაკოვის მიერ ძლეული ბელარუსი, ძიუდოში აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **იური რიბაკი** დაამარცხა.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# მედლების ბედი ბოლო ტურში გადაწყდა

## თამარ ხმიადაშვილი ვეტერანებში მსოფლიოს ჩემპიონია

იტალიურ არკოში დამთავრდა ვეტერან (50 წელს გადაცილებულ) მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალთა ტურნირში, როგორც გაუწყეთ, ორი ქართველი მონაწილეობდა — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მსგავსი ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული **ნონა გაფრინდაშვილი** და ვეტერანებში ევროპის ჩემპიონი **თამარ ხმიადაშვილი.**

ბოლო ტურის წინ 6,5 ქულით ერთპიროვნულად გაფრინდაშვილი ლიდერობდა, რომელიც უახლოეს მდევრებს ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებდა. დასკვნით შეხვედრაში მან რუს **მარგარიტა კამიშევასთან** შავი ფიგურებით ქულა გაიყო. ამ დაზავებით ისარგებლა ხმიადაშვილმა — რუს **ნინა შუშპანოვას** სძლია და მანაც 7 ქულას მოუყარა თავი. უკეთესი კოეფიციენტით ჩემპიონობა ხმიადაშვილს ხვდა. გაფრინდაშვილი ვერცხლის მედალს დასჯერდა. ასევე, 7 ქულით მესამე ადგილი **ტატიანა ფომინამ** (ესტონეთი) დაიკავა.

ვაჟებში 11 ტურის შემდეგ ერთბაშად ოთხმა მოჭადრაკემ 8,5 ქულა მოაგროვა. უკეთესი მაჩვენებლებით ოქროს მედალი ყაზახეთის საჭადრაკო სკოლის აღზრდილს, ამჟამად საფრანგეთის მოქალაქე **ანატოლი ვაისერს** ხვდა. მომდევნო სამი ადგილი ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: **ვლასტიმილ იანსა** (ჩეხეთი), **ვიაჩესლავ დიდიშკო** (ბელარუსი) და **ლარი კაუფმანი** (აშშ). პირველ სამ ადგილზე გასულთ, შესაბამისად, 2000, 1700 და 1400 ევრო ხვდათ, ქალებს კი 600, 500 და 400 ევრო დაამსახურეს.



**ვაჟა დანელია**


ნაზი პაიკიძე

# პაიკიძე ქალებში პირველია

სანქტ-პეტერბურგში მიხაილ ჩიგორინის მემორიალში 130-ზე მეტი მოჭადრაკე ქალ-ვაჟი მონაწილეობდა. მოასპარეზეთა შორის გახლდათ ერთადერთი ქართველი დიდოსტატი **ნაზი პაიკიძე**. ბოლო მე-9 ტურში იგი ყაზახ **რუსტამ ხუსნუტდინოვს** (2524) დაუზავდა და 5,5 ქულა მოაგროვა, რამაც ჩვენებურს ქალთა შორის პირველი ადგილი მოუტანა (საგულისხმოა, რომ ნაზიმ ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა). ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე-მესამე ადგილები რუსებმა — **ევგენია ოვოდმა** და **ანასტასია ბოდნარუკმა** გაინაწილეს.

მემორიალში 7,5 ქულით აზერბაიჯანის ოლიმპიური ნაკრების წევრმა **ელთაჯ საფარლიმ** გაიმარჯვა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ერთბაშად 6 მოჭადრაკე ჩამორჩა. უკეთესი კოეფიციენტით მეორე-მესამე ადგილებზე **ივან სოკოლოვი** (ბოსნია-ჰერცეგოვინა) და **ალექსანდრ არეშჩენკო** (უკრაინა) გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

# მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ოთხი ქართველი იბრძოლებს


მაია ჩიბურდანიძე (მარჯვნივ) და ნანა ძაგნიძე

წლეულს 2-დან 25 დეკემბრამდე თურქეთის ქალაქ ჰატაიში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება ნოკაუტ სისტემით, რომელშიც პლანეტის 64 საუკეთესო დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მანდილოსანი იასპარეზებს. მათ შორის საქართველოს ოთხი წარმომადგენელი იქნება — **ნანა ძაგნიძე** (2551), ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** (2502), **სოფიკო ხუხაშვილი** (2430) და **მაია ლომინეიშვილი** (2347). მათთან ერთად ბრძოლაში ჩაებმებიან მსოფლიოს ამჟამინდელი რუსი ჩემპიონი და 2004 წლის ევროპის ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი** (2507), მსოფლიო კლასიფიკაციით ქალებში მეორეადგილოსანი **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2600), მესამე ადგილზე მყოფი **ჰოუ იფანი** (2591), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები — **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2581), **პია კრამლინგი** (2526) და **კატერინა ლახნო** (უკრაინა, 2522), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2548), მსოფლიოს ჩემპიონი **ჟუ ჩენი** (ყატარი, 2477), ევროპის ჩემპიონები — **ელმირა სკრიპჩენკო** (საფრანგეთი, 2460) და **ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა, 2447).

მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა 6 რაუნდში გაირკვევა. თითოეულ ეტაპზე მეტოქეები ორ-ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. თუ ეს გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, მაშინ მესამე დღეს ტაიბრეიკებში ბლიცპარტიების შედეგები გვამცნობს. მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას. ფინალისტები ოთხ პარტიაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს ნალჩიკში კოსტენიუკმა გადამწყვეტ პაექრობაში 2,5:1,5 დაამარცხა 14 წლის ჰოუ იფანი.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდია 450 000 ამერიკული დოლარი. ჩემპიონი 60 ათასი დოლარით დაჯილდოვდება. ფულადი პრიზები გადაეცემათ, ასევე, რაუნდების მიხედვით გამარჯვებულებსაც: პირველ რაუნდში — 32-ს X 3750, მეორეში — 16-ს X 5500, მესამეში — 8-ს X 8000, მეოთხეში — 4-ს X 12.000, მეხუთეში — 2-ს X 20.000, მეექვსეში — ერთს X 30.000 დოლარი.

**ვაჟა დანელია**

შაბათის „ლელოში" გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**ჰორიზონტალურად:** 1. "პაპოელი"; 5. ტრავმა; 10. ფერნანდესი; 11. შევა; 12. ალაჩაჩანი; 13. ფიცი; 15. დროება; 18. აჟურა; 19. იანა; 20. ზუბოვი; 22. პილგუი; 23. ბორჯღალი; 25. გორშკოვი; 27. ბოისა; 28. ორტიგოსა; 29. ლიოვი; 31. კომისარი; 32. როდეო.

**ვერტიკალურად:** 2. ადრიანო; 3. ოკადა; 4. "ლიდსი"; 6. ვიერი; 7. აჭაცი; 8. ოფსაიდი; 9. ასანიძე; 13. "ფრაიბურგი"; 14. ცხენი; 16. გობეჯიშვილი; 17. აკვრა; 21. ფლორბოლი; 22. პიკი; 23. ბაგიო; 24. ანანიძე; 26. ოკოჩა; 30. ოტო.

შაბათის „ლელოში" გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:

1-ბ, 2-ა, 3-გ, 4-ბ, 5-ა.

„ლელო" თანაგრძნობას უცხადებს ყოფილ თანამშრომელს ირინა სიდამონიძეს დედის გარდაცვალების გამო.

# ანონსი

„ლელოს" ხვალინდელ ნომერში („თბილისიდან ხასავიურტამდე და აქეთ - ვეტერანი ფალავნის ფიქრები და ჩანაწერები") მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე გურამ სალარაძე მოგითხრობთ ამას წინათ ჩრდილოკავკასიელ ფალავნებთან შეხვედრებსა და განცდებზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. სუპერლიგა 2010/11

6 ნოემბერი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| აგრარული | 63 |
| სამედიცინო | 57 |

11:22, 12:7, 26:18, 14:10

აგრარული: ტეტელაშვილი (5ქ, 3პ), ჩაჩანიძე (13ქ), ხანიაშვილი (16ქ, 8მ, 4პ), ჯავახიშვილი (4ქ, 8მ), მუმლაძე (13ქ, 11მ), ნანიტაშვილი (12ქ, 4ჩ), სიგუა, გემაზაშვილი.
სამედიცინო: გულისაბედაშვილი (8ქ), ს. ლეჟავა (6ქ), ბექაური (15ქ, 15მ, 2დ), ნინიაშვილი (7ქ), ჭოჭუა (11ქ, 7მ, 5პ), როდუმტა (4ქ, 7მ, 2დ), თავართქილაძე (3ქ, 3პ), ფაიქრიძე (3ქ), კეიდია.
მსაჯები: ხ. გაბედავა, გ. მიქელაძე
კომისარი: რ. გელოვანი

6 ნოემბერი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| არმია | 78 |
| ქუთაისი | 82 |

23:25, 16:23, 27:18, 12:16

არმია: ბაბიაშვილი (16ქ), ბოისა (11ქ), ტულუში (17ქ, 3პ), მ. ბერიშვილი, უგრეხელიძე (12ქ, 10მ), პირველაშვილი (12ქ, 4პ), ბაქრაძე (7ქ, 5პ), მინაშვილი (2ქ), ათანელიშვილი (1ქ).
ქუთაისი: დიდია (2ქ), ბ. ბერიშვილი (13ქ, 4პ), კვიმსაძე (24ქ), ბოლქვაძე (9ქ), გ. ბარბაქაძე (12ქ, 3ჩ), ლომინაშვილი (17ქ, 7მ), კოლუაშვილი (3ქ), ქორიძე (2ქ), ტუკვაძე.
მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე
კომისარი: რ. ხომერიკი

6 ნოემბერი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| თსუ | 94 |
| სოხუმი | 93 |

24:26, 17:21, 23:19, 30:27

თსუ: ფანჩულიძე (32ქ), გაფრინდაშვილი (12ქ, 4პ), კოხრეიძე (9მ, 3პ), ლონდარიძე (16ქ), მათიაშვილი (4ქ, 7პ), მარხვაშვილი (23ქ, 3ჩ), ყველაშვილი (7ქ).
სოხუმი: ფარლალავა (16ქ, 10პ, 9მ), კვეტენაძე (13ქ), სორდია (21ქ), მაკრეირი (6ქ, 7მ, 3პ), რ. დამუსი (10ქ, 10მ, 2დ), კანკია (3ქ), კოპალიანი (2ქ), შანიძე (8ქ), კ. დამუსი (14ქ, 9მ).
მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი
კომისარი: რ. ხომერიკი

6 ნოემბერი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| შსს | 121 |
| დინამო | 66 |

35:9, 26:16, 29:22, 31:19

შსს: დ. ბერიშვილი (4ქ, 8პ), ლაფანაშვილი (8ქ), კოტონი (23ქ), მარკოიშვილი (12ქ), იმნაძე (11ქ, 7მ), დ. ბარბაქაძე (6ქ), ნიკოლაძე (11ქ, 3პ, 4ჩ), შერმადინი (15ქ, 11მ), დეკანოიძე (6ქ), ტომარაძე (17ქ), სუხიშვილი (8ქ, 10მ), მიქაბერიძე.
დინამო: ივანეიშვილი (10ქ), ეძგვერაძე (9ქ, 3პ, 3ჩ), თვაური (2ქ), გლუნჩაძე (4ქ), ალხანაიძე (22ქ, 3პ), თავამაიშვილი (4ქ, 7მ), ჩაველაშვილი (2ქ), კუჭავა (5ქ, 3პ, 3ჩ), წიკლაური (8ქ).
მსაჯები: გ. მიქელაძე, ვ. კიკოტი
კომისარი: გ. სანაძე

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 2 | 2 | 0 | 193-169 | 4 |
| 2. შსს | 2 | 2 | 0 | 205-137 | 4 |
| 3. ენერჯი | 2 | 2 | 0 | 168-158 | 4 |
| 4. ქუთაისი | 2 | 1 | 1 | 154-155 | 3 |
| 5. აგრარული | 2 | 1 | 1 | 138-142 | 3 |
| 6. სოხუმი | 2 | 1 | 1 | 178-169 | 3 |
| 7. დინამო | 2 | 1 | 1 | 130-184 | 3 |
| 8. სტუ | 2 | 0 | 2 | 162-190 | 2 |
| 9. სამედიცინო | 2 | 0 | 2 | 128-147 | 2 |
| 10. ბათუმი | 1 | 0 | 1 | 63-64 | 1 |
| 11. არმია | 1 | 0 | 1 | 78-82 | 1 |



ტროი კოტონს 23 ქულის მოსაგროვებლად 17 წუთი დასჭირდა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# არმია გამოჩნდა, ქუთაისი უკეთ წარმოჩნდა

როგორც იქნა, ვიხილეთ მატჩი თავდაცვის სამინისტროს გუნდის, „არმიის" მონაწილეობით. **ლევან მოსეშვილის** გაწვრთნილმა კლუბმა დუდუ დადიანის მემორიალურ ტურნირში უარი თქვა, სუპერლიგაც დაიწყო და არმიელების თამაში მაინც ვერ ვიხილეთ - პირველ ტურში ისვენებდნენ. „არმია" ჩემპიონატში მეორე ტურიდან ჩაება და პირველივე მატჩში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, „ქუთაისს" დაუპირისპირდა. ქუთათურებს ჩემპიონატის მონაწილეთა შორის საუკეთესო შემადგენლობა არ ჰყავთ, თუმცა გუნდი იმდენად კარგადაა მომზადებული, რომ გამოცდილების და ახალბედების ნაზავი შეჯიბრების ფავორიტებსაც არაფრით ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდებმა დადიანის მემორიალზე მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს, ისიც მასპინძელ შსს-სთან 3 ქულის სხვაობით (79:82).

ქუთათურებმა შაბათს სუპერლიგის კიდევ ერთ ფავორიტს, „არმიას" გააზრებული თამაში დაუპირისპირეს და მესამე პერიოდში 11 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ, თუმცა **გიორგი პირველაშვილმა** ზუსტი სამქულიანებით -11 +1-ად აქცია. მეოთხე პერიოდში თანაბარი თამაში გაჩაღდა, თბილისელთაგან ჩვეული სიზუსტით ისროდა **კოტე ტულუში**, ხოლო სტუმართაგან მსროლელის პოზიციაზე მოთამაშე **ბუბა კვიმსაძე** გამოირჩეოდა (შესაბამისად, ერთი გუნდის ბომბარდირი კოტე გახდა 17 ქულით, მეორისა - ბუბა 24 ქულით). თუმცა აქ ერთი გვარიც უნდა ვახსენოთ: სუპერლიგის დებიუტანტმა **ავთანდილ ლომინაშვილმა** არმიელთა გამოცდილ მეფარეებს არაფერი დაუთმო. ავთო განსაკუთრებით შედეგიანი მატჩის ბოლოს იყო. გადამწყვეტი ტყორცნაც მის ანგარიშზეა: სირენამდე 16 წამით ადრე მასპინძელთა საჯარიმოში კარგად შეიჭრა, ყველაზე მაღლაც ახტა და ზუსტი ორქულიანით სხვაობა 3 ქულამდე გაზარდა. დარჩენილ დროში არმიელებმა მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოახერხეს.

ლევან მოსეშვილის გუნდში საინტერესო შემადგენლობაა შეკრებილი: **ბაბიაშვილი, ბოისა**, ტულუში... ეს სამეული შარშან „ენერჯის" ჩემპიონობისკენ გაუძღვა. მათ დავამატოთ ნაკრებში ნათამაშები **უგრეხელიძე, მიშა ბერიშვილი**... შეიძლება ითქვას, რომ პირველ მატჩში არმიელებს სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის გამო გაუჭირდათ.

■ ■ ■

„სოხუმის" შემადგენლობაში მესამე ამერიკელი, **მაიკლ მაკრეირი** გამოჩნდა, რომელიც **ლაშა ფარლალავასთან** ერთად „მონტანაში" თამაშობდა. მაიკლი ახალი ჩამოსულია და გუნდთან შეგუება სჭირდება. აქაურობას ნელ-ნელა ეჩვევიან **კარლ** და **რიჩარდ დამუსები**. ძმებიდან ერთი ორმაგ დუბლს ყოველ მატჩში ასრულებს. თუმცა შაბათს ფარლალავას ერთით მეტი მოხსნა რომ ჰქონოდა, სამმაგ დუბლს მიითვლიდა. ასეთი ეფექტური სტატისტიკა ბოლოს კოტე ტულუშს ორი წლის წინათ ჰქონდა.

თუმცა თსუ-"სოხუმის" შეხვედრის ბომბარდირი „სტუდენტი" იყო - **მიშა ფანჩულიძე**, რომელმაც 32 ქულას მოუყარა თავი. მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. მაშინ, როცა ბევრს ეგონა, შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდოდა, **ილია ლონდარიძე** „სოხუმის" კალათისკენ დაიძრა, მას რიჩარდ დამუსმა დაუფარა, თუმცა მსაჯმა ჯარიმა დააფიქსირა, თსუ-ელმაც 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

■ ■ ■

სტუდენტურ დერბიში შედარებით ახალგაზრდულმა „აგრარულმა" „სამედიცინოს" 63:57 აჯობა. ეფექტური დუბლი შეასრულა „მედიკოსმა" **ბექა ბექაურმა** (15 ქულა, 15 მოხსნა), ხოლო მისმა მეტოქე **კახა მუმლაძემ** 13 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა.

■ ■ ■

მეორე ტური შსს-"დინამოს" მატჩით დასრულდა. შსს-მ მეტოქე ფარქვეშ აშკარად დაჩაგრა: მოხსნებში 60:31 აჯობა. ამის ხარჯზე ძალოვანებმა მეტოქეზე 23-ით მეტი ორქულიანი ჩააგდეს - 42:19.

გამარჯვებულთა რიგებში გამოირჩა ამერიკელი **ტროი კოტონი**, რომელმაც 23 ქულა ოდენ 17 წუთში მოაგროვა. ტროიმ 7-დან 4 სამქულიანი, 6-დან 5 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი NBA-ში

# ქორებს მგელი შეაშინებდა?

ატლანტელმა „ქორებმა" სეზონის სტარტზე მემფისელი „გრიზლი" დაკორტნეს და რა გასაკვირია, რომ მინეაპოლისელ „მგლებსაც" იგივე დამართეს. ჯორჯიელებმა „მინესოტა" 113:103 დაამარცხეს.

**მერვინ უილიამსის** ტრავმის გამო „ატლანტას" სასტარტო ხუთეული შეიცვალა - ცენტრის პოზიციაზე მწვრთნელმა **ლარი დრიუმ ჯეისონ კოლინზი** (21 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა) გაამწესა (არადა, გვეგონა, ხუთეულში **ზაზა ფაჩულია** მოხვდებოდა). მძიმე ფორვარდის ამპლუაში გამოჩნდა **ელ ჰორფორდი**, რომელმაც 25 წუთში 14 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა. ზაზა მატჩისას კოლინზს ცვლიდა და ელ ჰორფორდთან ერთად საინტერესო დუეტს ქმნიდა...

ქართველს ორი ევროპელი ცენტრის, **დარკო მილიჩიჩისა და ნიკოლა პეკოვიჩის (გიორგი შერმადინის** ყოფილი თანაგუნდელი „პანათინაიკოსში") წინააღმდეგ მოუწია თამაშმა. ორივემ 4-4 ქულა ჩააგდო, ჯამში კი 9 მოხსნა მოაგროვა. მათთვის ქართველი ცენტრის შეჩერება იოლი არ იყო - ზაზამ 8 საჯარიმო ტყორცნა შეასრულა, 5 ჩააგდო, ერთი ორქულიანიც მიამატა და 7 ქულას 4 მოხსნა „შეაწება".

6 მატჩის შემდეგ „ატლანტა" სამხრეთ-აღმოსავლეთის კონფერენციას უდანაკარგოდ ლიდერობს. დღეს გამთენიისას „ქორები" „მზეს" შეუტევდნენ - **იგორ კოკოშკოვის** „ფინიქს სანსისთვის" უნდა ემასპინძლათ.

**მინესოტა-ატლანტა 103:113**

ზაზა ფაჩულია: 18:49 წუთი, 7 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 8-დან 5 საჯარიმო), 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი, 1 შეცდომა

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 04:45 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 04:35 | ჩაჭრა: 1 (მილიჩიჩს ჩაუჭრა) |
| 03:10 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:33 | საჯარიმოები: 2/0 |
| 01:12 | ფოლი: 1 |
| 01:02 | საჯარიმოები: 2/2 (2ძ, 26:23) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:12 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 10:36 | ორძულიანი: არაზუსტი |
| 07:38 | საჯარიმოები: 2/2 (4ძ, 40:33) |
| 07:25 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 05:37 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 04:33 | ორძულიანი: 6ძ (77:66) |
| 00:08 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:03 | საჯარიმოები: 2/1 (7ძ, 88:74) |
| 09:43 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 08:31 | შეცდომა: 1 |
| 08:11 | სმიტმა ზაზა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი



● ლეგიონი

# იტალია რომ არა...

**იტალიის ჩემპიონატი**

**კანტუ-ტერამო 82:70**

მანუჩარ მარკოიშვილი: 28 წუთი, 18 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება.

**პესარო-ვირტუსი 66:70**

ვიქტორ სანიკიძე: 20 წუთი, 4 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი.

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**რეალი-ლაგუნ არო 83:53**

ნიკა ცქიტიშვილი: 17 წუთი, 1 მოხსნა.

**ესტუდიან.-გრან კანარია 73:71**

ტაირონ ელისი: 20 წუთი, 10 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი.

ტორინ გრინი: 25 წუთი, 11 ქულა, 3 მოხსნა, 5 პასი.

**ვალიადოლიდი-ხუვენტუდი 91:72**

ქუინტონ ჰოსლი: 28 წუთი, 13 ქულა, 6 მოხსნა.

**ადრიატიკის თასი**

**ჰემოფარმი-ოლიმპია 84:74**

გიორგი შერმადინი: 20 წუთი, 13 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება.

**ბალტიის ლიგა**

**როკი-რიგა 77:85**

გიორგი ცინცაძე: 22 წუთი, 10 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა.

**ბელგიის ჩემპიონატი**

**აალსტი-ლევენსტერი 85:81**

თორნიკე შენგელია: 15 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა.

**გერმანიის ჩემპიონატი**

**სკაილაინერსი-გისენი 82:64**

ლაშა გამყრელიძე: 28 წუთი, 7 ქულა, 3 პასი, 1 ჩაჭრა.

გასულ უქმეებზე ქართველმა ლეგიონერებმა იტალიის გარდა ყველგან ფიასკო განიცადეს - ყველა ჩვენიანის გუნდმა წააგო. თუმცა, დამარცხებულთა შორისაც გამოირჩა რამდენიმე ქართველი...

მანამდე იტალიურ მონაგარზე ვთქვათ. **მანუჩარ მარკოიშვილმა** 28 წუთში 18 ქულა ჩააგდო (7-დან 4 სამქულიანი, 4-დან 3 ორქულიანი) და „კანტუს" „ტერამოსთან" გაამარჯვებინა. **ვიქტორ სანიკიძის** 4 ქულა „ვირტუსს" სტუმრად გამარჯვებაში დაეხმარა - „სკავოლინის" სწორედ 4 ქულის სხვაობით სძლია (70:66).

სერბეთში „ჰემოფარმთან" წააგო **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიამ". ქართველმა ცენტრმა სლოვენიაში ჩასვლის შემდეგ ყველაზე მეტი, 20 წუთი ითამაშა და ყველაზე მეტი, 13 ქულა ჩააგდო.

დაწვრილებით ხვალ მოგითხრობთ.

ვაჟა სიმონიშვილი

● ჩოგბურთი

# შემდეგი გაჩერება ფინიქსი

საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (137) მე-5 ნომრად იყო განთესილი ტეხასის შტატის ქალაქ გრეიპვაინის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) და მეოთხედფინალში ტურნირის პირველ და მსოფლიოს 87-ე ჩოგან **ვარვარა ლეპჩენკოს** (აშშ) შეხვდა. ანა ტოლ-სწორად ეომა ფავორიტს, მეტიც, მოგებაც შეეძლო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მოიკოჭლა და შეხვედრა ორ სეტში დათმო - 4:6, 6:7 (5).

პირველ სეტში 3:3-ზე ანა საკუთარ მოწოდებაზე 40:0-ს იგებდა და გეიმი მაინც დათმო! მეორე სეტში, ლეპჩენკო 5:2-ს იგებდა, მაგრამ ანამ იყოჩაღა და 6:5 დაწინაურდა. დაინიშნა გადამწყვეტი ტაი-ბრეიკი, რომელიც ჩვენებურის სუსტი წერტილია, ანამ 5:7 წააგო მოკლე სეტი და ნახევარფინალში ამერიკელი ჩოგბურთელი გავიდა.

ტატიშვილი 18 სარეიტინგო ქულით დაკმაყოფილდა. იგი ორშაბათიდან ფინიქსის საერთაშორისო ტურნირში (75 ათასი დოლარი) იასპარეზებს, სადაც განთესილთა შორის, ალბათ, ვერ მოხვდება. შარშან ფინიქსში ქართველმა დიდებულად ითამაშა, ზედიზედ სამი ამერიკელი გააგდო (**ლინდსეი ლი-უოტერსი** -181, **მედისონ ბრენგლი** - 195 და **ალექსანდრა სტივენსონი** - 347), ნახევარფინალი კი ახალზელანდიელ **საშა ჯონსთან** (268) დათმო. ახლა ანას შარშანდელი 50 ქულა აქვს დასაცავი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ტესტები

# სამხრეთელების ჰეგემონიით

ნოემბრის ტესტები, რომელთაც ტრადიციულად, ევროპა მასპინძლობს, სამხრეთელი ბობოლების გამარჯვებით დაიწყო. ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებმა ევროპის საუკეთესო სარაგბო ქვეყნების ეროვნულ გუნდებთან მძიმე ბრძოლები გადაიტანეს, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლები პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს.

ჩვენთვის, ცხადია, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა 2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, ინგლისის ეროვნული გუნდის თამაში პლანეტის საუკეთესო გუნდთან ახალი ზელანდიის ნაკრებთან. თამაშმა გვიჩვენა, რომ მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** „პომებისთვის" ჯერაც შეუცვლელია და „ვილკოს" გარეშე ინგლისის ნაკრები სრულიად სხვა გუნდია.

ასეა თუ ისე, „ოლ ბლექსმა" პირველ ტაიმში მოპოვებული ჰანდიკაპი მეორეშიც შეინარჩუნა და „თვიქნემზე" თავის მატიანეში კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა - 26:16.

თამაშის დასაწყისი თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. გუნდებმა თითო გაფუჭებული საჯარიმო გაცვალეს. ანგარიში კი მხოლოდ მე-17 წუთზე გაიხსნა.


ჟუან სმითის ლელო

ახალზელანდიელებმა დერეფანი მეტოქის ორმოცმეტრიან ხაზთან მოიგეს და ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშეს. გარემარბმა **ხოსე გეარმა** ლელო ალამთან გაიტანა. „ოლ ბლექსის" მგეზავმა **დენ კარტერმა** გარდასახვა თითქმის გვერდითი ხაზიდან დაარტყა და გაიტანა - 7:0.

პირველ ლელოს ოთხ წუთში მეორეც მოჰყვა, რაც ძირითადად ახალზელანდიელი მორკინალების დამსახურება იყო. მათი ძალისხმევა მესამეხაზელმა **კირან რიდმა** დაასრულა, კარტერმა ესეც გარდასახა - 14:0.

მოვლენების ასე განვითარების შემდეგ ინგლისელებმა გონს მოსვლა მხოლოდ მეორე ტაიმში მოახერხეს. მანამდე კი, პირველი ტაიმის დასრულებამდე გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს. ჯერ ინგლისელთა ახალგაზრდა მგეზავმა **ტობი ფლუდმა** გაიტანა, რაზეც კარტერმა ასევე საჯარიმოთი უპასუხა. 17:3 - ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ ინგლისელებმა თამაშის ტემპს მოუმატეს. ტაიმის დასაწყისში ფლუდმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა - 6:17, რაზეც ორ წუთში პასუხი ისევ კარტერმა გასცა - 6:20.

54-ე წუთზე კი შეცვლაზე სამი წუთით ადრე შესულმა შერკინების კვაჭმა **დილან ჰართლიმ** გამოიჩინა თავი. „პომებმა" შეტევა საკუთარი 22-მეტრიანი ზონიდან წამოიწყეს და ხელდახელ ბურთაობითა და მორკინალების ძალისხმევით ულამაზესი ლელო გაიტანეს. ფლუდმა გარდასახა და ანგარიშში სხვაობა შვიდ ქულამდე შეამცირა - 13:20.

მასპინძლებს მატჩის გადარჩენის იმედი ჩაესახათ. ტემპს კიდევ უმატეს, მაგრამ „ოლ ბლექსი" თავს შესანიშნავად იცავდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ინგლისელებმა ანგარიშის უფრო შემცირება ვერაფრით შეძლეს. მატჩის ბოლო ათი წუთი მათ მეტოქის ნახევარზე გაატარეს, თუმცა უშედეგოდ.

თამაშის ბოლომდე ფლუდის ერთ საჯარიმოს კარტერმა ორით უპასუხა და „ოლ ბლექსმა ერთი კვირის წინ ავსტრალიასთან ჰონკონგში განცდილი მარცხის შემდეგ ევროპული ტურნე გამარჯვებით დაიწყო.

ძალზე საინტერესო, უშელავათო მატჩი გაიმართა დუბლინში, სადაც ირლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონ „ბოკესთან" ორი ქულით დამარცხდა - 21:23. არადა, „სამყურებს" აშკარად არ გაუმართლათ. ბოლო წუთებზე შეცვლაზე შესულმა **რონან ოგარამ** გარდასახვა დაარტყა და ბურთი ძელს გაარტყა.

თამაშის პირველი ნახევარი სამხრეთაფრიკელებმა შვიდი ქულით - 13:6 მოიგეს. იმის თქმა, რომ „ბოკე" საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, არ იქნებოდა სწორი. მსოფლიოს ჩემპიონებს ერთბაშად 13 წამყვანი მოთამაშე აკლდათ და, ცხადია, გუნდი თავის თავს არ ჰგავდა.

მიუხედავად ამისა, ანგარიში სწორედ სტუმრებმა გახსნეს. მგეზავმა **მორნი სტეინმა** მე-5 წუთზე საჯარიმო გაიტანა. 12 წუთში კი სრულიად უხიფათო სიტუაციაში ზურმუხტისფრებს გაემოეპარათ სამხრეთაფრიკელთა მესამეხაზელის **ჟუან სმითის** მანევრი, რომელმაც ლელომდე 40 მეტრი ირბინა, სტეინმა კი გარდასახა - 10:0.

ირლანდიელებმა ამის მერელა გამოილეს ხელი. მგეზავმა **ჯონათან სექსტონმა** პირველ ტაიმში ორი საჯარიმო გაიტანა და ანგარიში შვიდამდე შეამცირა. მეორე ნახევარში მის ნაცვლად გამოსულმა **რონან ოგარამ** მასპინძელთა თამაში უფრო ეფექტური გახადა. სწორედ მისი აქტიური და, რაც მთავარია, უნარიანი ქმედებების წყალობაა „სამყურების" გატანილი ორი ლელო.

მაგრამ მასპინძლებს ამანაც ვერ უშველა. დაცვაში კიდევ ერთი ბავშვური შეცდომა დაუშვეს და „ბოკეს" ფულბეკ **ხიო ეპლონს** ლელოს გატანის საშუალება მისცეს. 75-ე წუთზე ოგარას მიერ ვერგატანილი გარდასახვა კი, რომელზეც უკვე ვთქვით, გუნდს ნაგებად დაუჯდა.

მატჩის დასრულებამდე დარჩენილ ხუთ წუთში სამხრეთაფრიკელებმა მეტოქეს შეტევის ორგანიზების საშუალება აღარ მისცეს, ხელსაყრელი ანგარიში შეინარჩუნეს და თავიანთი მწვრთნელი **პიტერ დე ფილიერსი** კრიტიკოსთა კიდევ ერთი თავდასხმისგან იხსნეს - 23:21.

უელსელების წინააღმდეგობის დაძლევა კარდიფში, „მილენიუმზე" ავსტრალიის ნაკრებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო. მასპინძლებმა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და პირველი ტაიმი მხოლოდ ერთი ქულით - 6:7 დათმეს.

მეორე ნახევარში ავსტრალიელთა უპირატესობა საგრძნობი გახდა. მართალია, უელსელებმა ერთი ლელოს გატანა შეძლეს, მაგრამ „ვოლაბებმა" ორით უპასუხეს და მასპინძლებს მოგების შანსი არ დაუტოვეს - 25:16.

**ინგლისი-ახ. ზელანდია 16:26**

ინგლისი (15-9) **ფოდენი, ეშტონი, თინდოლი, ჰეპი, კუეტო (არმითიჯი 68), ფლუდი, იანგზი (კერი 72). (1-8) შერიდანი (ვილსონი 58), თომპსონი (ჰართლი 51), კოლი, ლოუ, პელმერი (ეთვუდი 64), კროფტი, მუდი (ფური 66), ისთერი**

*ლ: ჰართლი. 3ს,გ: ფლუდი*

ახალი ზელანდია (15-9) **მულიაინა, როკოთოკო (ტოეავა 58), ვილიამსი, ნონუ, გეარი, კარტერი, მეთიუსონი (ელისი 51). (1-8) ვუდკოქი, მეალამუ, ფრენქსი (აფოა 71), თორნი, ვაითლოქი (ბორიჩი 68), კაინო, მაკქოუ, რიდი.**

*2ლ: გეარი, რიდი. 4ს,2გ: კარტერი*

მსაჯი: **რომენ პუატი (საფრანგეთი)**

**ირლანდია-ს. აფრიკა 21:23**

ირლანდია (15-9) **კირნი (ეარლზი 74), ბოუი, ბ. ოდრისკოლი, დარსი, ფიცჯერალდი, სექსტონი (ოგარა 65), რედანი (სტრინჯერი 65). (1-8) ჰალი, ბესტი, ბაკლი (კურთი 51), ოკალაჰანი, მ. ოდრისკოლი (რაიანი 54), ფერისი, ვოლესი, ჰისლიპი.**

*2ლ: ბოუი, კირნი. 3ს: სექსტონი. გ: ოგარა*

სამხრეთ აფრიკა (15-9) **ეპლონი, ბესონი, კირხნერი, დე ფილიერსი (იაკობსი 67), ჰაბანა, სტეინი (ლამბიე 60), პინარი. (1-8) მთავარირა, ბ. დუ პლესი, ი. დუ პლესი (ფან დერ ლინდე 70), ბოთა (ფან დერ მერვე 70), მეტფილდი, სტიგმანი (დენიელსი 65), სმითი, სპისი**

*2ლ: სმითი, ეპლონი. 3ს,გ: მ.სტეინი. გ: ლამბიე.*

მსაჯი: **ნაიჯელ ოუენსი (უელსი)**

**უელსი-ავსტრალია 16:25**

უელსი (15-9) **ჰუკი, ჰარისი, შანკლინი, ბიშოპი, შ. ვილიამსი, ს. ჯოუნზი (ბიგარი 65), ფილიპსი (რ.რისი 65). (1-8) ჯენკინზი (პ.ჯოუნზი 74), მ.რისი (ბენეტი 75), ა. ჯოუნზი, დევისი, 5. ა. ჯოუნზი (დ.ჯოუნზი 75), ლიდიატი, ვერბართონი (მ.ვილიამსი 65), თომასი.**

*ლ: რისი. 3ს: ს.ჯოუნზი. გ. ბიგარი.*

ავსტრალია (15-9) **ბეილი, ოკონორი, ეშლი-კუპერი, გიტო (ბარნსი 67), მიტჩელი, კუპერი, გენია (ბარჯესი 74). (1-8) რობინსონი, მური (ედმონდსი 54), ალექსანდერი (სლიპერი 67), ჩისჰოლმი (მამი 75), შარპი, ელსომი, პოკოქი, მაკკალმენი**

*3ლ: პოკოქი, ბეილი, ალექსანდერი. 2გ,2ს: ოკონორი.*

მსაჯი: **უეინ ბარნსი (ინგლისი)**

13 ნოემბერი: **იტალია-არგენტინა, უელსი-სამხრეთ აფრიკა, ირლანდია-სამოა, ინგლისი-ავსტრალია, საფრანგეთი-ფიჯი, შოტლანდია-ახალი ზელანდია.**

● მეტოქეები


კანადელების პირველი ლელოს

# რუსების კატასტროფა ტოკიოში

საქართველოს ნაკრების მეტოქემ ნოემბრის ტესტებზე, კანადის ეროვნულმა გუნდმა, ევროპული ტურნეს პირველი შეხვედრა ბრიუსელში, ბელგიის ნაკრებთან გამართა და 43:12 მოიგო.

კანადის ნაკრებმა, რომელიც ულეგიონეროდ თამაშობდა, მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანა, მასპინძლებმა კი ოკეანისგაღმელებს ორი ლელოთი უპასუხეს.

მომდევნო შეხვედრას კანადელები 13 ნოემბერს ლისაბონში, პორტუგალიის ნაკრებთან გამართავენ, რის შემდეგაც გეზს თბილისისკენ აიღებენ. შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნები" კანადის ნაკრებს 20 ნოემბერს ეროვნულ სტადიონზე დაუპირისპირდებიან.

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მეტოქე ნოემბრის ტესტებზე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ხვალ ინგლისში ადგილობრივ კლუბ „სარასენზს" ეთამაშება. 13 ნოემბერს კი მადრიდში ესპანეთის ნაკრებს შეხვდება.

ევროპის ერთა თასის გათამაშებაში „ბორჯღალოსნების" მეტოქემ, რუსეთის ნაკრებმა ნოემბრის ტესტების ეგიდით ითამაშა ტოკიოში იაპონელებთან და დიდი ანგარიშით - 3:75 დამარცხდა.

იაპონელებმა, რომელთაც ახალზელანდიური რაგბის ლეგენდა **ჯონ ქირვანი** წვრთნის, რუსებს თერთმეტი ლელო გაუტანეს. აღსანიშნავია, რომ ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრებში შვიდმა ნატურალიზებულმა მორაგბემ ითამაშა. ერთი სიტყვით, ქირვანი იაპონიაში იმას აკეთებს, რასაც იტალიის ნაკრების მწვრთნელობისას აკეთებდა. „სკუადრა აძურაში" არგენტინელთა „შემოსევა" სწორედ მან განახორციელა.

2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების შესაძლო მეტოქე ურუგვაის ეროვნული გუნდი რეპეშაჟში რუმინეთის ნაკრებთან სათამაშოდ ემზადება. სამხრეთამერიკელებმა, რომლებიც საწვრთნელ შეკრებზე არგენტინაში იმყოფებიან, ამ ქვეყნის სან ისიდროს რეგიონის ნაკრებთან საკონტროლო მატჩი გამართეს და 32:28 მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ ურუგვაელები რუმინეთის ნაკრებს 13 ნოემბერს მონტევიდეოში დაუპირისპირდებიან. განმეორებითი შეხვედრა კი 27 ნოემბერს ბუქარესტში გაიმართება. ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული კი 2011 წელს მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქე იქნება.

**ბელგია-კანადა 12:43**

კანადა: **15. კირან ჰერნი, 14. ტეილორ პარისი, 13. ნიკ ბლევინსი, 12. რაიან სმითი, 11. შონ დაკი, 10. ნათან ჰირაიამა, 9. შონ ვაითი. 1. ტომ დოლეზელი, 2. პერ რიორდანი, 3. ჯეისონ მარშალი, 4. ჯებ სინკლერი, 5. ბრაიან ერიკსენი, 6. ჩუსი ოტოოლე, 7. ადამ კლიბერგერი, 8. ჯერემი კინი.**

*16. ენდრიუ ტიდმენი, 17. დენ პლეტჩი, 18. ჯონ ფილანი, 19. მიტჩ ჯავჯონი, 20. ჯიმი მაკკინზი, 21. ანდრე მონრო, 22. კონორ ბრედი.*

**9 ნოემბერი**

**სარასენზი (ინგ) - აშშ**

**13 ნოემბერი**

**პორტუგალია-აშშ, ესპანეთი-კანადა, ურუგვაი-რუმინეთი**

● ლეგიონერები

# კავთიძემ და კომპანიამ ლიდერობა დაკარგეს

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-10 ტურში ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდი დამარცხდა.

**გურამ კავთიძის** „ლიონმა" სტუმრად წააგო „ნარბონთან" - 27:32 და ლიდერობა დაკარგა. ლიონელები 32 ქულით ახლა მესამე ადგილზე არიან. კავთიძეს არ უთამაშია.

სტუმრად „ოიონაქსთან" მშრალი ანგარიშით - 0:14 წააგო **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა". მაგრაქველიძე თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო. მირცხულავა განაცხადში არ იყო.

**გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი" ასევე სტუმრად დამარცხდა „ოშთან" - 19:22. მენაბდიშვილს არ უთამაშია.

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

X ტური: **მონ დე მარსანი-ექსი 22:6, პო-კარკასონი 19:32, ოიონაქსი-ტარბი 14:0, ნარბონი-ლიონი 32:27, ოში-გრენობლი 22:19, კოლომიე-ალბი 19:20, სენტ ეტიენი-ორიაკი 12:21, ბორდო-დაქსი 20:11**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ალბი - 35 ქულა, 2. ორიაკი - 34, 3. ლიონი - 32, 4. 4. ბორდო - 29, 5. კარკასონი - 27, 6. პო - 25, 7. ოიონაქსი - 25, 8. ტარბი - 24, 9. გრენობლი - 24, 10. ნარბონი - 22, 11. მონ დე მარსანი - 22, 12. ოში - 19, 13. დაქსი - 16, 14. კოლომიე - 15, 15. ექსი - 13, 16. სენტ ეტიენი - 8.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ვაშინგტონი არენასს უშვებს

## ჯონ უოლი რობერტსონის ნაკვალევზე

„ვაშინგტონ უიზარდსი" თავისი ერთ-ერთი ლიდერის - გილბერტ არენასის გაცვლის ვარიანტებს განიხილავს. დედაქალაქურ კლუბს რაც შეიძლება სწრაფად სურს ჭირვეულ ვარსკვლავთან და მის მრავალმილიონიან კონტრაქტთან გამომშვიდობება, თანაც „უიზარდსი" არ აპირებს ხელშეკრულების ნაადრევად დარღვევისთვის ჯარიმის გადახდას.

„ვაშინგტონის" ხელმძღვანელობამ ეს ნაბიჯი იმით ახსნა, რომ არენასის მიერ გასახდელში შეტანილი იარაღის ინციდენტმა სერიოზულად დააზარალა კლუბის იმიჯი, გარდა ამისა, წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა **ჯონ უოლმა** თავისი თამაშით დაამტკიცა, რომ მზად არის გუნდში ლიდერის ფუნქციების შესასრულებლად.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში არენასი 17.7 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, მომდევნო სამ სეზონში კი მისი ხელფასი 60 მილიონი იქნება.

ამასობაში ჯონ უოლმა სადებიუტო სეზონის სტარტზე პირველი რეკორდის დამყარება მოასწრო. ახალგაზრდა მცველი პირველი დებიუტანტია ლეგენდარული **ოსკარ რობერტსონის** შემდეგ, ვინც ჩემპიონატის პირველ ხუთ მატჩში საშუალოდ შვიდზე მეტი შედეგიანი პასი დააგროვა.

ამ ეტაპზე უოლის სტატისტიკა 19.4 ქულას, 9.6 შედეგიან პასსა და 3.2 მოხსნას შეადგენს.

■ ■ ■

დამაიმედებელი ცნობები მოდის „ლეიკერსის" ბანაკიდან ამ გუნდის ძირითადი ცენტრის **ენდრიუ ბინუმის** ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. როგორც მოქმედი ჩემპიონის ექიმები ვარაუდობენ, კალათბურთელი სავარაუდოდ 25 ნოემბრისთვის შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

*„როგორც ჩანს, ენდრიუ სულ მალე ასი პროცენტით იქნება მზად,* - განაცხადა კალიფორნიული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა**. - *თუ ყველაფერი გრაფიკის მიხედვით გაგრძელდა, ის სამი კვირის შემდეგ შეძლებს თამაშს".*

# აივერსონმა საკუთარ პრეზენტაციაზე დაიგვიანა

## რეალი ეტორე მესინათი უკმაყოფილოა

უცნაური ამბავი შეემთხვა თურქეთის „ბეშიქთაშის" ახალწვეულ **ალენ აივერსონს**, რომელმაც ცოტა ხნის წინ ამ გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თურქულ კლუბს შაბათს, ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტურის წინ ჰქონდა დაგეგმილი NBA-ის ყოფილი ვარსკვლავის პრეზენტაცია და ოფიციალური პრესკონფერენცია, მაგრამ ალენი არ გამოცხადდა. ის ორშაბათს, ორდღიანი დაგვიანებით ჩავა თურქეთში და ამის შემდეგ გაიმართება ოფიციალური წარდგენა.

აივერსონმა საკუთარ პრეზენტაციაზე დაგვიანება იმით ახსნა, რომ ვერ მოასწრო ოკეანის გალმა გადაბარგებისთვის მომზადება.

■ ■ ■

არ არის გამორიცხული, უახლოეს ხანში მწვრთნელი შეიცვალოს მადრიდის „რეალმა". კლუბის ხელმძღვანელობა პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესის** მეთაურობით უკმაყოფილოა სეზონის სტარტზე „სამეფო კლუბის" თამაშით და უკვე ფიქრობს იტალიელი სპეციალისტის **ეტორე მესინას** შეცვლაზე. მწვრთნელმა არ გაითვალისწინა შარშანდელი სეზონის გაკვეთილები: გუნდის თამაში ისევ დაუბალანსებელია, კონფლიქტია მოთამაშეებსა და მწვრთნელებს შორის და თავად"რეალი" ჩანს მთლიანად უკონტროლო.

საქმის ამგვარი ვითარება არ აწყობს პერესს, რომელიც უკვე ეძებს მესინას შემცვლელს. მთავარი კანდიდატურაა - ესპანელი სპეციალისტი **მონჩო ლოპესი**, რომელიც ამჟამად პორტუგალიის „პორტუს" ავარჯიშებს. ამ მწვრთნელს ესპანეთის ნაკრებთან მუშაობის გამოცდილება აქვს, წელს კი 2011 წლის ევრობასკეტზე ვერ გაიყვანა პორტუგალია.

მეორე კანდიდატურაა - ესპანეთის ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად კი „ხუვენტუდის" დამრიგებელი **პეპუ ერნანდესი**. ეს სპეციალისტი იმით არის ცნობილი, რომ 2006 წელს ქვეყნის პირველი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.



ეტორე მესინა



კრის პოლმა მაიამი გადაწონა

# სასწაული ფინიქსში

გასული უქმეების მთავარი შეხვედრა ნიუ ორლეანში გაიმართა, სადაც ადგილობრივ „ჰორნეტს" სტუმრად „მაიამი ჰიტი" ეწვია. მასპინძლებმა ყველასთვის მოულოდნელად ზედიზედ ოთხი მოგებით დაიწყეს ჩემპიონატი და სწორედ აღნიშნულ მატჩში ელოდნენ ამ ბრწყინვალე სერიის შეწყვეტას, მაგრამ ნიუორლეანელთა ზღაპარი გაგრძელდა. „ჰორნეტსმა" დამაჯერებლად ჩააბარა ეს ურთულესი გამოცდა - თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ეჭვი არავის შეჰპარვია მასპინძლების უპირატესობაში.

სანამ შეხვედრის დებიუტში „ჰიტის" „დიდი ტრიო" ტყორცნების გაყოფით იყო დაკავებული, „ნიუ ორლეანმა" **კრის პოლის** მეთაურობით გაქცევა მოახერხა და უკვე პირველ მეოთხედში უპირატესობამ 14 ქულა შეადგინა. **სპოელსტრას** შეგირდებს ბევრი არაფერი გამოსდიოდათ. ყველა პრობლემა, რომელზეც ადრე ლაპარაკობდნენ, ამჯერადაც წინა პლანზე გადმოვიდა. ასე მაგალითად, **კრის ბოშმა** პირველ ტაიმში მხოლოდ ორი ქულა დააგროვა, რასაც ერთი მოხსნა დაუმატა, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი აღმოჩნდა. კიდევ უფრო ცუდად იყო საქმე საკუთარ სამნამიანში. მეტოქის ფართან სასწაულებს ახდენდა „ჰორნეტსის" ცენტრი **ემეკა ოკაფორი** - მან 13-ჯერ ისროლა და 12 ტყორცნა ზუსტი აღმოჩნდა! წესით და რიგით, ყველას მიერ ჩამოწერილი კალათბურთელი ასე არ უნდა იბრიყვებდეს ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტს.

მაგრამ ამ პრობლემების მიუხედავად, „მაიამიმ" მაინც შეძლო ჩამორჩენის გაბათილება. მეორე ნახევარში გააქტიურდნენ **დუეინ უეიდი** და **ლებრონ ჯეიმსი**. თავიანთი ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით ფლორიდელებმა არა მარტო შეამცირეს სხვაობა, არამედ წინაც გავიდნენ: 59 წამით ადრე „ჰიტი" მატჩში პირველად დაწინაურდა - 90:89. თუმცა „ნიუ ორლეანმა" პირთამდე სავსე ტრიბუნების დახმარებით თამაშზე კონტროლი არ დაკარგა და ბოლო წუთს გონს მოეგო. გუნდი გადაარჩინა **ტრევორ არიზამ**, რომელმაც დროულად ჩააგდო სამქულიანი, ამას კრის პოლის ზუსტი ტყორცნა და აუღელვებელი **დევიდ უესტის** ზუსტი საჯარიმოები მოჰყვა.

ბოლო შეტევაში ფლორიდელთა სნაიპერებმა - უეიდმა და **ჰაუსმა** ორი სამქულიანი გააფუჭეს. ამ მხრივ „ჰიტს" სერიოზული პრობლემა ჰქონდა - 21-დან მხოლოდ 5 ზუსტი ტყორცნა. მარტო ჰაუსმა შორიდან შვიდჯერ ააცილა. გადაცემების მხრივაც კარგად ვერ იყო საქმე: გუნდმა ჯამში 19 შედეგიანი პასი დააგროვა - იმდენი, რამდენიც „ჰორნეტსის" გამთამაშებელ კრის პოლს ჰქონდა.

ამასობაში, **ტომ ტიბოდო** ბოსტონში დაბრუნდა, ამჯერად „ჩიკაგო ბულზის" მთავარი მწვრთნელის რანგში. ტომი თავის ყოფილ გუნდს ხუთი თითივით იცნობს და „ხარები" შესანიშნავად მოამზადა ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ. სასტარტო წუთებმა ნათლად დაგვანახა, რომ სტუმრები მასაჩუსეტსში გამარჯვებისთვის ჩავიდნენ. მაგრამ **დოკ რივერსმაც** შეძლო კოლეგის გაკვირვება. სათადარიგოებმა - **დენიელსმა** და **დევისმა** მეორე მეოთხედში გაიბრწყინეს და საქმე გაურთულეს „ბულზს".

როგორც აღმოჩნდა, „ჩიკაგო" ამ მატჩში **როუზის, დენგის, გიბსონისა** და **ნოას** კვარტეტის იმედად უნდა ყოფილიყო. მატჩის ბოლოსკენ ისინი „სელტიქსის" ვეტერანებზე მხნედ გამოიყურებოდნენ. სტუმრებმა გააბათილეს ორწუთ-ნახევრით ადრე 6-ქულიანი ჩამორჩენა და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს, მაგრამ იქ ბოლო სიტყვა მასპინძლებმა თქვეს. ამის მიზეზი მათი ბრწყინვალე დაცვა და „ბულზის" შეტევის ჩავარდნა გახდა.

უქმეების ერთ-ერთი გმირი გახდა „ფინიქს სანზის" ფორვარდი **ჯეისონ რიჩარდსონი**, რომელიც ბოლო ორი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ერთ მატჩში დაგროვილი ქულების რაოდენობით. 38 ქულა (თამაშიდან 29 ტყორცნა და 14 ზუსტი, რვიდან ექვსი გამოყენებული სამქულიანი და ხუთიდან ოთხი საჯარიმო), რვა მოხსნა, ოთხი ჩაჭრა, სამი პასი და მხოლოდ ერთი შეცდომა 43 წუთის განმავლობაში - ასეთი იყო მისი სტატისტიკა „მემფისთან" მატჩში. *„ცხოვრებაში ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია"*, - აღიარა მატჩის შემდეგ ფინიქსელმა.

რიჩარდსონის გუნდმა სასწაული მოახდინა - საფინალო სირენამდე 3.7 წამით ადრე ოთხ ქულას აგებდა და მაინც შეძლო ოვერტაიმამდე მისვლა. ამ დროის განმავლობაში მასპინძლებმა მოასწრეს სამქულიანის ჩაგდება (რიჩარდსონი) და **რუდი გეიზე** დაჯარიმება (ტაბლოზე 1.1 წამი რჩებოდა), რომელმაც ორიდან ერთი ტყორცნა გამოიყენა. ამის შემდეგ **გრანტ ჰილმა** მოასწრო იმავე რიჩარდსონზე ზუსტი პასის გაკეთება და ანგარიში გათანაბრდა. მატჩის გმირმა დამატებით 10 წუთში თავის მონაგარს კიდევ 9 ქულა დაუმატა და თავისი გუნდის გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახდა.

### 5 ნოემბერი

**ინდიანა-მილუოკი 90:94**

20:18, 40:34, 16:18, 14:24

ი: გრეინჯერი (19+9 მოხსნა), კოლისონი (19+5 ჩაჭრა), ჰიბერტი (14+12 მოხსნა+6 დაფარება), დანლივი (11+9 მოხსნა), ჯორჯი (10).

მ: სალმონსი (22+5 პასი), ჯენინგსი (18), მბა ა მუტე (10+15 მოხსნა), მაგეტი (10+7 მოხსნა).

**ორლანდო-ნიუ ჯერსი 105:90**

20:18, 28:33, 32:16, 25:23

ო: ჰოვარდი (30+16 მოხსნა), ნელსონი (20+6 მოხსნა), კარტერი (20), ლუისი (12+8 მოხსნა).

ნ-ჯ: აუთლო (17+6 მოხსნა), უილიამსი (15), ჰარისი (14), ჰემფრიზი (13), ლოპესი (10).

**ფილადელ.-კლივლენდი 116:123**

20:34, 33:27, 31:18, 32:44

ფ: ჰოლიდეი (29+8 პასი), ბრენდი (20), უილიამსი (16+5 პასი), ნოჩიონი (15).

კ: ვარეჯაო (23+12 მოხსნა), უილიამსი (22+7 პასი), გიბსონი (22), ჰიქსონი (16+8 მოხსნა), გრეჰი (10).

**დეტროიტი-შარლოტი 97:90**

32:15, 23:24, 17:25, 25:26

დ: გორდონი (20), ჰემილტონი (16), პრინსი (14), მაკგრეიდი (10), ვილანუევა (10).

შ: ჯექსონი (28), უოლასი (13), ოგუსტინი (12+8 პასი), ტომასი (10).

**ნიუ იორკი-ვაშინგტონი 112:91**

26:27, 32:22, 23:24, 31:18

ნ-ი: დაგლასი (19+10 მოხსნა+5 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (18+4 დაფარება), გალინარი (16), ჩენდლერი (14+6 მოხსნა), ფელტონი (13+10 პასი).

ვ: ბლეტჩი (22+6 მოხსნა), არენასი (18), უოლი (13+7 პასი).

**ბოსტონი-ჩიკაგო 110:105 (ო)**

19:23, 30:15, 23:26, 24:32, 14:9

ბ: ალენი (25), გარნეტი (16+10 მოხსნა), დევისი (15), ჯ. ო'ნილი (12), პირსი (10+11 პასი+4 ჩაჭრა), პირსი (10+7 მოხსნა+5 პასი).

ჩ: ნოა (26+12 მოხსნა), დენგი (20+6 მოხსნა), როუზი (18+9 პასი), გიბსონი (18+7 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-მაიამი 96:93**

29:17, 21:24, 22:23, 24:29

ნ-ო: ოკაფორი (26+13 მოხსნა), უესტი (15+7 მოხსნა), პოლი (13+19 პასი+5 ჩაჭრა), არიზა (13+6 მოხსნა), სმიტი (12+6 მოხსნა).

მ: უეიდი (28+10 მოხსნა), ჯეიმსი (20+10 პასი+7 მოხსნა), ბოში (15), ილგაუსკასი (10).

**მინესოტა-ატლანტა 103:113**

25:26, 26:30, 20:27, 32:30

მ: ლავი (18+12 მოხსნა), ბრიუერი (18+5 ჩაჭრა), ჯონსონი (18), ბიზლი (16+6 მოხსნა).

ა: კროუფორდი (22), სმიტი (20+8 მოხსნა+6 პასი+5 დაფარება), ბიბი (15+5 პასი), ჰორფორდი (14+12 მოხსნა), ჯონსონი (11+5 პასი), პაუელი (10).

**ფინიქსი-მემფისი 123:118 (2ო)**

20:35, 25:20, 25:21, 29:23, 10:10, 14:9

ფ: რიჩარდსონი (38+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), ნეში (25+9 პასი), თურქოგლუ (18), ფრიკი (15+7 მოხსნა).

მ: მ. გასოლი (26+7 მოხსნა), გეი (26), მაიო (23), კონლი (16+7 პასი+5 ჩაჭრა), რენდოლფი (12+14 მოხსნა), არტური (10+11 მოხსნა).

**დენვერი-კლიპერსი 111:104**

24:28, 29:26, 29:17, 29:33

დ: ენტონი (30+6 პასი), ჰარინგტონი (18+8 მოხსნა), აფლალო (16+5 პასი), ბილაპსი (12+7 პასი), უილიამსი (12+6 მოხსნა), სმიტი (10).

კ: გრიფინი (26+10 მოხსნა), გორდონი (21+5 პასი), სმიტი (18), ბლედსოუ (12+13 პასი), ბატლერი (12), კამანი (10+8 მოხსნა).

**გ. სტეიტი-იუტა 85:78**

17:16, 23:23, 20:17, 25:22

გ-ს: ელისი (23+7 ჩაჭრა), კარი (20+6 პასი), ლი (14+15 მოხსნა), ბიედრინში (8+20 მოხსნა).

ი: უილიამსი (23+6 პასი), ჯეფერსონი (16+15 მოხსნა), მილსეპი (12+11 მოხსნა), მაილზი (12).

**ლეიკერსი-ტორონტო 108:103**

33:20, 22:38, 27:20, 26:25

ლ: პ. გასოლი (30+7 მოხსნა), ბრაიანტი (23+6 პასი), ბლეიკი (14), ბრაუნი (12), ფიშერი (11).

ტ: ბარბოზა (17), დეროზანი (15), კალდერონი (14), ბარნიანი (14), ჯონსონი (12+15 მოხსნა), ჯეკი (11+5 პასი).

### 6 ნოემბერი

**ვაშინგტონი-კლივლენდი 102:107**

28:27, 23:32, 25:17, 26:31

ვ: ტორნტონი (23+6 მოხსნა), ჰაინრიხი (21), ბლეტჩი (16+15 მოხსნა), უოლი (13+10 პასი), არენასი (13), მაკგი (11+10 მოხსნა).

კ: უილიამსი (28), გიბსონი (19), პარკერი (13), ჰოლინზი (11), ჰიქსონი (10), ვარეჯაო (8+11 მოხსნა).

**შარლოტი-ორლანდო 88:91**

15:23, 21:20, 26:30, 26:18

შ: უოლასი (25+14 მოხსნა), ჯექსონი (16+6 პასი), მუჰამედი (12), ტომასი (10).

ო: ჰოვარდი (22+8 მოხსნა), ლუისი (22+6 მოხსნა), რიჩარდსონი (14), კარტერი (10).

**მაიამი-ნიუ ჯერსი 101:89**

24:25, 31:26, 32:17, 14:21

მ: უეიდი (29+10 მოხსნა), ჯეიმსი (23+9 პასი), ბოში (21).

ნ-ჯ: მოროუ (25+7 მოხსნა), ლოპესი (12), ფეივორსი (11).

**მილუოკი-ნიუ ორლეანი 81:87**

18:23, 17:18, 19:24, 27:22

მ: ბოგუტი (19+14 მოხსნა), სალმონსი (14), ჯენინგსი (12+5 პასი).

ნ-ო: უესტი (25+6 მოხსნა), პოლი (14+9 მოხსნა+6 პასი), ბელინელი (14), ოკაფორი (11+7 მოხსნა), არიზა (11+6 მოხსნა).

**სან ანტონ.-ჰიუსტონი 124:121 (ო)**

34:34, 23:18, 34:32, 22:29, 1:8)

ს-ა: ჯინობილი (28), ჯეფერსონი (22), პარკერი (21+14 პასი+5 ჩაჭრა), დანკანი (19+11 მოხსნა), მაკდაისი (11+10 მოხსნა), ჰილი (10).

ჰ: მარტინი (24), სკოლა (20+8 მოხსნა), ბრუქსი (18), ბატიე (14+7 მოხსნა), სმიტი (11+7 პასი), ლი (11).

**დალასი-დენვერი 92:103**

24:26, 28:27, 27:26, 13:24

დალ: ტერი (26), ნოვიცკი (23+6 მოხსნა), ბატლერი (13+10 მოხსნა), მერიონი (12+9 მოხსნა).

დენ: ენტონი (27+4 ჩაჭრა), ბილაპსი (18), ჰარინგტონი (14+8 მოხსნა), სმიტი (11+6 მოხსნა+5 პასი), ლოუსონი (10+5 პასი).

**იუტა-კლიპერსი 109:107 (2ო)**

22:35, 20:17,31:18, 21:28, 6:6, 12:10

ი: უილიამსი (30+8 მოხსნა+7 პასი), მილსეპი (25+13 მოხსნა), ჯეფერსონი (18+10 მოხსნა), კირილენკო (18).

კ: გორდონი (27+5 პასი), კამანი (23+7 მოხსნა+4 დაფარება), გრიფინი (16+17 მოხსნა), ბლედსოუ (14).

**პორტლენდი-ტორონტო 97:84**

18:17, 27:17, 28:25, 24:25

პ: როი (26), ოლდრიჯი (22+10 მოხსნა), ბატუმი (20), კემბი (8+16 მოხსნა), მილერი (6+13 პასი+6 მოხსნა).

ტ: ჯეკი (16), ბარნიანი (12+8 მოხსნა), კალდერონი (12), ბარბოზა (12), რაიტი (11).

**საკრამენტო-მემფისი 91:100**

24:30, 25:23, 18:27, 24:20

ს: ევანსი (30+8 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), გარსია (21), კასპი (10).

მ: გეი (32+9 მოხსნა), რენდოლფი (20+11 მოხსნა), კონლი (14+5 პასი), მაიო (14).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ბატონი და ბანდიტები

## მოქმედ ჩემპიონს სან პაულუში ექვსი შეიარაღებული დაესხა თავს

ბრაზილიის გრან-პრის დღეებში ხშირად ხდება სხვადასხვა კრიმინალური ინციდენტი. წინა წლებში გუნდების თანამშრომლები, პილოტები და ტურისტები არაერთხელ გამხდარან თავდასხმის მსხვერპლნი. გამონაკლისი არც წლევანდელი უქმეები ყოფილა - შაბათს, ღამით, საკვალიფიკაციო რბოლის შემდეგ „მაკლარენმა" ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა.

„შაბათს საღამოს ინტერლაგუშის ტრასიდან სასტუმრო Hilton Morumbi-სკენ (სან პაულუ) მიმავალ გზაზე შეიარაღებულმა მძარცველებმა იმ მანქანის გაჩერება სცადეს, რომელშიც ჯენსონ ბატონი იჯდა. არც პილოტი და არც მისი მგზავრები - ჯენსონის მამა ჯონი, ფიზიოთერაპევტი მაიკ კოლიერი და მენეჯერი რიჩარდ გოდარტი არ დაზარალებულან. საბედნიეროდ, გუნდმა ჯენსონსა და მის თანაგუნდელ ლუის ჰემილტონს დაჯავშნული მანქანები გამოუყო, რომლებსაც სპეციალურად გაწვრთნილი შეიარაღებული პოლიციელები მართავენ.



ჯენსონ ბატონი

მძღოლებმა ნამში მოახდინეს სახიფათო სიტუაციაზე რეაგირება, სწრაფად გაიკვლიეს გზა მანქანებს შორის და ბატონი სასტუმროში მიიყვანეს. ასევე ეფექტურად მოქმედებს სან პაულუს მთავრობა. ისინი კვირას უსაფრთხოების დამატებით ზომებს მიიღებენ ჯენსონისა და გუნდის სხვა თანამშრომელთა დასაცავად", - წერია განცხადებაში.

უფრო მოგვიანებით შაბათის თავდასხმის დეტალების შესახებ ბრიტანულმა პრესამ დაწერა. Mercedes B 200-ის მძღოლმა ჟურნალისტებს უამბო, რომ მათ ექვსი ადამიანი დაესხა თავს - ისინი ბეისბოლის ჯოხებითა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ აღჭურვილი. ინციდენტის შესახებ კომენტარზე არც ბატონმა თქვა უარი.

„თავიდან სიმპათიური ძაღლი დავინახე, შემდეგ ნამს კი - იარაღიანი კაცი. ჩვენი მძღოლი არ დაიბნა, გვერდით გაუხვია და მთელი სიჩქარით წინ გაიჭრა. იმ მომენტში ექვსი შეიარაღებული ბანდიტი შევამჩნიეთ, რომლებმაც ალყა შემოგვარტყეს. მძღოლმა გადაგვარჩინა - გაქცევისას ხუთი მანქანა დავაზიანეთ, მაგრამ მაინც გავძვერით. მიხარია, რომ მანქანაში არ იყო ჩემი შეყვარებული ჯესიკა", - განაცხადა ბატონმა.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 5 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი-რეინჯერსი 0:3**

0:1, 0:1, 0:1

გოლები: [illegible]

**ვაშინგტონი-ბოსტონი 5:3**

0:0, 3:0, 2:3

გოლები: [illegible]

**ბაფალო-მონრეალი 2:3**

1:1, 1:2, 0:0

გოლები: [illegible]

**ფლორიდა-კაროლინა 7:4**

3:3, 1:0, 3:1

გოლები: [illegible]

**მინესოტა-კალგარი 2:1**

1:1, 0:0, 1:0

გოლები: [illegible]

**დალასი-ფინიქსი 6:3**

1:0, 4:1, 1:2

გოლები: [illegible]

**ედმონტონი-დეტროიტი 1:3**

0:1, 1:1, 0:1

გოლები: [illegible]

**ანაჰაიმი-პიტსბურგი 3:2**

0:0, 3:1, 0:1

გოლები: [illegible]

### 6 ნოემბერი

**ლოს ანჯელესი-ნეშვილი 4:1**

2:0, 2:0, 0:1

გოლები: [illegible]

**ატლანტა-ჩიკაგო 4:5 (ბ)**

1:2, 3:2, 0:0, 0:0

გოლები: [illegible]

ბულიტები გაიტანეს: [illegible]

**ბოსტონი-სენტ ლუისი 1:2 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

გოლები: [illegible]

ბულიტები გაიტანეს: [illegible]

**კაროლინა-ფლორიდა 3:2**

0:0, 1:0, 2:2

გოლები: [illegible]

**კოლამბუსი-მინესოტა 2:3**

1:1, 1:1, 0:1

გოლები: [illegible]

**მონრეალი-ოტავა 2:3**

0:1, 1:1, 1:1

გოლები: [illegible]

**აილენდერსი-ფილადელფია 1:2**

0:1, 1:0, 0:1

გოლები: [illegible]

**ტორონტო-ბაფალო 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

გოლები: [illegible]

ბულიტები გაიტანეს: [illegible]

**კოლორადო-დალასი 5:0**

1:0, 2:0, 2:0

გოლები: [illegible]

**ფინიქსი-პიტსბურგი 3:4 (ბ)**

2:0, 1:3, 0:0, 0:0

გოლები: [illegible]

ბულიტები გაიტანეს: [illegible]

**ვანკუვერი-დეტროიტი 6:4**

1:0, 2:3, 3:1

გოლები: [illegible]

**სან ხოსე-ტამპა ბეი 5:2**

2:1, 2:0, 1:1

გოლები: [illegible]

ამბები

**სათხილამურო სპორტი**

## რუსეთი დაინდეს

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIS) გადაწყვიტა, არ გამოიტანოს სანქციები რუსი მოთხილამურეების მიმართ, რასაც შეიძლება ხელი შეეშალა ამ სპორტსმენებისთვის 2014 წელს სოჭის ოლიმპიადაზე გამოსვლაში.

ეს გადაწყვეტილება ფედერაციამ შვეიცარიის ქალაქ ობერჰოფენში მიიღო. ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს რუსეთში დოპინგთან ბრძოლის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯები და ამ ქვეყნის ნაკრებს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის ნება დართეს.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის ივნისში საერთაშორისო ფედერაციამ რუს სპორტსმენებს შორის გახშირებული დოპინგ-სკანდალების გამო ქვეყნის ეროვნული ფედერაცია 178 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა და დოპინგის საქმეებში მხილებული ჩინოვნიკებისა და მწვრთნელების თანამდებობიდან გაშვება მოითხოვა.

**ბეისბოლი**

## აქაც უკანონო ფსონები

ბეისბოლის მთავარ ლიგაში (MLB) მოთამაშე „ნიუ იორკ მეტსის" მენეჯერი **ჩარლი სამუელსი** ტოტალიზატორში უკანონო ფსონების ჩასვლაშია ეჭვმიტანილი. ეს ინფორმაცია სააგენტო AP-მ ამ საქმის გამოძიებაში მონაწილე ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა.

პირველად უკანონო ფსონებთან სამუელსის კავშირის შესახებ გაზეთმა NY Daily News-მა დაწერა. ამავდროულად, MLB-ის წარმომადგენელთა ვერსიით, „მეტსის" მენეჯერი ტოტალიზატორში ამერიკული ფეხბურთის ლიგის - NFL-ის მატჩებზე ჩადიოდა ფსონებს.

კიდევ ერთი ინკოგნიტო წყაროს ცნობით, სამართალდამცავები მუშაობენ ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც, სამუელმა ფსონების გასაკეთებლად კლუბის ანგარიშიდან გარკვეული თანხა მოხსნა, თუმცა მოგვიანებით „ნასესხები" ფული უკან დააბრუნა.

ნიუიორკულ კლუბში იტყობინებიან, რომ სამუელი უკვე ჩამოაშორეს თავის მოვალეობებს, თუმცა უარი თქვეს ამ გადაწყვეტილების მიზეზის დაკონკრეტებაზე. საინტერესოა, რომ ჩარლი 1976 წლიდან მუშაობდა კლუბში და აქედან ბოლო 27 წელი მენეჯერის თანამდებობა ეკავა.

**ჩოგბურთი**

## ნისანი ოფიციალური გადამყვანი გახდა

საავტომობილო კონცერნი „ნისანი" ერთი წლით ATP-ის სეზონის შემაჯამებელი ტურნირის სპონსორი გახდა. გარდა ამისა, წყლის მწარმოებელმა ბრიტანულმა კომპანია Highland Spring-მა ჩემპიონატის ორგანიზატორებთან 2013 წლის ბოლომდე გაახანგრძლივა მოქმედი კონტრაქტი.

ATP-ის დასკვნითი ტურნირის მონაწილეებს შეჯიბრების დღეებში „ნისანის" ფირმის მანქანები მოემსახურებიან. ამისთვის კომპანიამ შემდეგი მოდელები შეარჩია - Qashqai, Murano, X-Trail, Navara, Pathfinder და LEAF.

ისევე როგორც შარშან, წლის შემაჯამებელი ტურნირი ამჯერადაც ლონდონში გაიმართება. ჯერჯერობით ჩემპიონატში თამაშის უფლება გარანტირებული აქვთ - ესპანელ **რაფაელ ნადალს**, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს**, სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, ბრიტანელ **ენდი მიურეისა** და შვედ **რობინ სოდერლინგს**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ნიუ იორკი-ფილადელფია | 96:106 |
| **გერმანია** | |
| სკაილაინერსი-გისენი | 82:64 |
| ულმი-ალბა | 77:73 |
| ლუდვიგსბურგი-ტრირი | 69:82 |
| ბრაუნშვაიგი-არტლანდი | 53:76 |
| ბაიროიტი-ჰაგენი | 99:96 |
| ბამბერგი-გოტინგენი | 76:59 |
| ჯაიანტსი-ტიუბინგენი | 74:88 |
| ოლდენბურგი-მიტლდოიჩე | 72:58 |
| **იტალია** | |
| კანტუ-ტერამო | 82:70 |
| ბენეტონი-ვარეზე | 67:72 |
| მონტეპასკი-კაზერტა | 91:87 |
| აველინო-რომა | 72:65 |
| ვანოლი-მონტეგრანარო | 82:80 (ო) |
| მილანი-ბრინდიზი | 97:76 |
| სასარი-ბიელა | 97:90 |
| სკავოლინი-ბოლონია | 66:70 |
| **რუსეთი** | |
| უნიქს-ნ. ნოვგოროდი | 77:75 |
| ლოკომოტივი-კრ. კრილია | 69:68 |
| ტრიუმფი-ცსკა | 61:76 |
| ხიმკი-სპარტაკი | 80:86 |
| **ესპანეთი** | |
| კახასოლი-ბარსელონა | 67:75 |
| ვალიადოლიდი-ხუვენტუდი | 91:72 |
| ფუენლაბრადა-სარაგოსა | 97:90 |
| მენორკა-გრანადა | 60:57 |
| ვალენსია-კახა ლაბორალი | 67:81 |
| ბილბაო-ალიკანტე | 71:59 |
| რეალი-ხირონა | 83:53 |
| ესტუდიანტესი-გრან კანარია | 73:71 |
| მანრესა-უნიკახა | 61:83 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-ოიაქი | 95:62 |
| ანთალია-ბანვითი | 62:84 |
| ოლინი-ალიაგა | 72:64 |
| ერდემი-ტ. ტელეკომი | 79:86 |
| პინარი-მერსინი | 106:71 |
| ბეშიქთაში-ბორნოვა | 89:76 |
| ტრაბზონი-გალათასარაი | 69:73 |
| თოფასი-ეფესი | 53:66 |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-სტრასბური | 84:66 |
| შოლე-ვილერბანი | 80:63 |
| ტულონი-პო ორტეზი | 76:93 |
| ლიმოჟი-პავრი | 82:78 |
| ნანსი-რუანი | 85:93 |
| ორლეანი-ვიში | 63:59 |
| **საბერძნეთი** | |
| აეკ-პანელინიოსი | 69:74 |
| ირაკლისი-ილისიაკოსი | 82:79 |
| კავალა-კოლოსოსი | 79:64 |
| პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 70:77 |
| არისი-პაოკ | 81:68 |
| პანათინაიკოსი-პერისტერი | 89:66 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **KHL** | |
| სევერსტალი-მეტალურგი (ნ) | 4:2 |
| სპარტაკი-ამური | 2:1 (ო) |
| ავანგარდი-იუგრა | 6:2 |
| ს. იულაევი-ბარისი | 2:6 |
| დინამო (მ)-მეტალურგი (მ) | 4:1 |
| ატლანტი-ავტომობილისტი | 4:1 |
| ვიტიაზი-დინამო (მნ) | 4:5 (ბ) |
| ლოკომოტივი-ნეფტეხიმიკი | 7:2 |
| სკა-სიბირი | 3:1 |
| ტორპედო-აკ ბარსი | 3:4 |
| **ბელარუსი** | |
| იუნოსტი-შახტარი | 1:4 |
| ლიეპაიასი-ხიმვოლოკნო | 7:1 |
| ვიტებსკი-მეტალურგი | 1:2 |
| ხიმიკი-შინიკი | 5:3 |
| გომელი-ნემანი | 0:1 |
| სოკილი-ბრესტი | 4:3 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ალბა | 3:4 (ო) |
| ვენა-გრაცი | 3:2 (ო) |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 2:3 |
| ზაგრები-ზალცბურგი | 6:7 (ო) |
| ოლიმპია-ლინცი | 3:2 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-კრეფელდი | 2:4 |
| კიოლნი-მიუნხენი | 5:6 (ბ) |
| აუგსბურგი-იზერლონი | 5:4 |
| ვოლფსბურგი-ინგოლშტადტი | 3:4 (ბ) |
| შტრაუბინგი-ჰანოვერი | 1:3 |
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 5:1 |
| **დანია** | |
| ესბერგი-სონდერიისკი | 1:5 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-სტავანგერი | 4:1 |
| რუსენბორგი-სპარტა | 4:7 |
| მანგლერუდი-სტიორნენი | 2:3 |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 6:1 |
| ფრისკ ასკერი-ლორენსკოგი | 5:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ჟილინა | 6:3 |
| მარტინი-კოშიცე | 0:2 |
| პოპრადი-ნიტრა | 3:0 |
| სკალიცა-ბისტრიცა | 5:2 |
| ტრენჩინი-სლოვანი | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰიფკ-ჰპკ | 7:1 |
| იოკერიტი-ტაპარა | 2:1 |
| კალპა-ლუკო | 5:0 |
| პელიკანსი-იუვიასკიულა | 0:3 |
| საიპა-ილვესი | 5:7 |
| ტპს-კერპეტი | 4:1 |
| ესეტი-ბლუზი | 5:0 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-სლავია | 3:5 |
| ვიტკოვიცე-კლადნო | 2:0 |
| ლიბერეცი-ბრნო | 3:1 |
| ლიტვინოვი-ზლინი | 2:4 |
| სპარტა-ბოლესლავი | 3:1 |
| პლზენი-პარდუბიცე | 3:4 |
| ბუდეიოვიცე-ტრშინეცი | 5:6 |
| **შვედეთი** | |
| შელეფტეო-იურგორდენი | 4:5 |
| ბრიუნასი-ფრიოლუნდა | 3:4 |
| ტიმრა-აიკ | 1:4 |
| ჰვ71-სიოდერტალე | 6:1 |
| ლულეო-ფერიესტადი | 3:2 |
| მოდო-ლინჩოპინგი | 4:3 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ბილი | 4:3 (ო) |
| ბერნი-ფრიბურგი | 4:3 |
| სერვეტი-ცუგი | 2:3 (ო) |
| კლოტენი-რაპერსვილი | 5:3 |
| ლანგნაუ-დავოსი | 2:3 |
| ციურიხი-ლუგანო | 6:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბაზელი** | |
| ჯოკოვიჩი-ტროიცკი | 7:6, 6:4 |
| ფედერერი-როდიკი | 6:2, 6:4 |
| ფედერერი-ჯოკოვიჩი | 6:4, 3:6, 6:1 |
| **ATP. ვალენსია** | |
| ფერერი-სიოდერლინგი | 6:3, 3:6, 6:3 |
| სიმონი-გრანოლერსი | 4:6, 4:6 |
| ფერერი-გრანოლერსი | 7:5, 6:3 |
| **WTA. ბალი** | |
| ივანოვიჩი-დატე | 7:5, 6:7, 6:2 |
| კლეიბანოვა-პანტუხოვა | 6:3, 6:1 |
| ივანოვიჩი-კლეიბანოვა | 6:2, 7:6 |
| **ფედერაციის თასი** | |
| ვანდევეგე-სკიავონე | 2:6, 4:6 |
| მატეკი-პენეტა | 6:7, 2:6 |

TV პროგრამა

**8 ნოემბერი. ორშაბათი**

**მზე**

00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია (LIVE).

**I არხი**

23:00 არენა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:35 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-დენ ჰააგი.
09:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-კორინთიანსი.
11:10 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ჩეზენა.
13:00 ახალი ამბები.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
15:10 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა.
17:00 ახალი ამბები.
17:20 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-დორტმუნდი.
19:55 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 საერთაშორისო პანორამა.
22:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:55 საფეხბურთო ღამე.
00:25 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია (LIVE).
02:25 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:05 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
05:55 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-კიევო.

**EUROSPORT**

11:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
11:45 რალი. IRC-ის სერია. კვიპროსი.
12:45 აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ლეიკ-კარაპირო. ახ. ზელანდია.
14:45 მძლეოსნობა. ნიუ იორკის მარათონი. აშშ.
15:30 ველოსპორტი (ტრეკი). ევროპის ჩემპიონატი. III დღე. პოლონეთი.
16:15 რალი. IRC-ის სერია. კვიპროსი.
17:15 აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ლეიკ-კარაპირო. ახ. ზელანდია.
18:15 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:00 ფარიკაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. პარიზი. საფრანგეთი.
23:45 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:55 მულტისპორტი.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
04:15 მულტისპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ბრაზილიის გრანპრი

# ხარები ალონსოს მიუახლოვდნენ

## ტიტულის ბედი ერთ კვირაში აბუ დაბიში გადაწყდება




რედ ბული დუბლს და კონსტრუქტორთა თასს ზეიმობს

სენსაციურად დაწყებული ბრაზილიის გრან-პრი სავსებით ლოგიკური შედეგით დასრულდა - „რედ ბულმა" დაამტკიცა, რომ ჩემპიონატში ყველაზე სწრაფი მანქანა ჰყავს, ამას სტაბილურობაც დაუმატა და დუბლი შეასრულა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია საერთო ჩათვლაში. სენსაცია კი შაბათს კვალიფიკაციაში „უილიამსის" პილოტის - **ნიკო ჰიულკენბერგის** გამარჯვება იყო.

მაგრამ გერმანელმა სტარტზე უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო - პილოტები პირველ მოსახვევამდე არ იყვნენ მისულნი, როცა **სებასტიან ფეტელმა** („რედ ბული") შიდა რადიუსით გაუსწრო ნიკოს. იყოჩაღა **მარკ უებერმაც** („რედ ბული"), რომელმაც ნიკო არასასურველი ტრაექტორიით შეუშვა მოსახვევში. ასე დაწინაურდა რბოლაში ავსტრიული საჯინიბოს დუეტი.

რაც შეეხება ჩემპიონობის კიდევ ერთი პრეტენდენტ **ლუის ჰემილტონს** („მაკლარენი"), ის თავიდანვე ვერ გაუსწორდა ჰიულკენბერგს და ცოტა ხანში თავად დამარცხდა საერთო ჩათვლის ლიდერ **ფერნანდო ალონსოსთან** („ფერარი") ბრძოლაში: ესპანელმა დამაჯერებელი მანევრით ჩამოიცილა კონკურენტი, ცოტა ხანში კი თამამი სვლით „უილიამსის" პილოტსაც გაუსწრო. ჰემილტონი დაელოდა იმ მომენტს, როცა ნიკო ნაადრევ პიტსტოპზე ბოქსებში გაემართა და მხოლოდ ამის შემდეგ გაუსწრო შაბათის გმირს.

პიტსტოპების პირველი სერია ადრეულად დაიწყო: უკვე მე-12 წრეზე სხვებს მაგალითი მისცა **ჯენსონ ბატონმა** („მაკლარენი"). ბრიტანელის ტაქტიკამ გაამართლა: მოქმედმა ჩემპიონმა ერთი ხელის მოსმით გაუსწრო პილოტთა მთელ ჯგუფს და საბოლოოდ მეხუთე პოზიციაზე აღმოჩნდა. არ გაუმართლა ჰიულკენბერგს - ბოქსებში ვიზიტის შემდეგ ის ბატონისა და „მერსედესის" დუეტის უკან აღმოჩნდა.

ლიდერთა შორის სრული სიმშვიდე შეინიშნებოდა: „რედ ბულის" პილოტებს შორის სტაბილურად ორი-სამი წამი იყო განსხვავება. მათ პაექრობაში მცირე დაძაბულობა შეინიშნებოდა, მაგრამ კონტაქტურ ბრძოლამდე საქმე არ მისულა. ფეტელი და უებერი კონკურეტებზე ოდნავ სწრაფები იყვნენ, ამიტომაც ალონსოს სავსებით აკმაყოფილებდა მესამე პოზიცია (მით უმეტეს, რომ მისი მთავარი კონკურენტი - უებერი მხოლოდ მეორე იყო), ჰემილტონი კი უბრალოდ ვერ ეწეოდა „ფერარის" პილოტს.

მოსაწყენი რბოლა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის გამოსვლამ გაახალისა. ამის მიზეზი კი **ვიტანტონიო ლიუცი** („ფორს ინდია") იყო, რომელმაც პირველ მოსახვევთან დაამტვრია თავისი ბოლიდი.

სიტუაციით ისარგებლეს „მაკლარენის" პილოტებმა - ისინი **ნიკო როსბერგთან** („მერსედესი") და კიდევ რამდენიმე ავტომრბოლთან ერთად ბოქსებში შევიდნენ. წესით, უსაფრთხოების მანქანის გასვლის შემდეგ რბოლას საინტერესო დასასრული უნდა ჰქონოდა: ორივე „მაკლარენს" ახალი საბურავებით იერიში უნდა მიეტანა „რედ ბულებსა" და ალონსოზე. მაგრამ ჰემილტონმა და ბატონმა ბევრი დრო დაკარგეს წრეზე ჩამორჩენილების გასასწრებად და დაწინაურებული სამეულის შევიწროება შეუძლებელი აღმოჩნდა. თავად ლიდერებს შორისაც საინტერესო არაფერი მომხდარა.

საერთო ჯამში, სანახაობრივი თვალსაზრისით რბოლამ არ გაამართლა, მაგრამ მთავარი ამოცანა შესრულა - ტიტულს ბედი ერთი კვირის შემდეგ აბუ დაბიში გაირკვევა. კონსტრუქტორთა თასს კი უკვე ჰყავს მფლობელი - „რედ ბულმა" თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოიგო გუნდური პირველობა.

სებასტიან ფეტელი: *„შესანიშნავი დღეა! რბოლა რთული აღმოჩნდა. სტარტზე არც ისე მომგებიან სიტუაციაში ვიყავით, მაგრამ ყველაფერი წარმატებით განვითარდა. ჰიულკენბერგი ნამით შეყოვნდა, რითაც კარგად ვისარგებლე. ნიკოს გასასწრებად დიდი ადგილი არ დაუტოვებია, მაგრამ ესეც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი, რის შემდეგაც გაქცევაზე ზრუნვა დავიწყე.*

*ახლა უკვე მნიშვნელობა არ აქვს კორეაში განცდილ ფიასკოს. ამ დუბლით კონსტრუქტორთა თასი მოვიგეთ - ეს შესანიშნავია! რა თქმა უნდა, ტიტულისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ და ძალიან გვინდა ფერნანდო ალონსოს დამარცხება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ვამაყობ ჩვენი გუნდით - მან უდიდეს შედეგს მიაღწია.*

*კვლავინდებურად მჯერა, რომ შემიძლია მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება. 26 ქულით რომ ვიყო ჩამორჩენილი - ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ 16 ქულის გაბათილება სავსებით რეალურია".*

ფერნანდო ალონსომ შეინარჩუნა ლიდერობა და ახლა ორი რეალური კონკურენტი ჰყავს „რედ ბულის" პილოტების სახით. ბატონი ოფიციალურად ჩამოშორდა საჩემპიონო რბოლას, ჰემილტონს კი რჩება შანსი, მაგრამ მინიმალური - ის 24 ქულით ჩამორჩება ესპანელს.

*„აბუ დაბიში მეორე ადგილიც მომიტანს ჩემპიონობას, თუნდაც უებერი პირველი მივიდეს ფინიშთან. ხოლო ფეტელის გამარჯვების შემთხვევაში მეხუთე ადგილიც დამაკმაყოფილებს, - განაცხადა ალონსომ ფინიშის შემდეგ. - დღეს კარგად დავინახეთ, რა მარტივად იცვლება რბოლის დროს ყველაფერი. ამიტომაც წინ ურთულესი უქმეები გველის. აბუ დაბიში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ვნახოთ, ამ შვიდი დღის განმავლობაში ვინ უკეთ შეასრულებს თავის სამუშაოს".*

რბოლის შემდეგ ჟურნალისტებმა მარკ უებერს ჰკითხეს - ელოდა თუ არა ავსტრალიელი თანაგუნდელისგან დახმარებას: ხომ შეეძლო ფეტელს პირველი პოზიცია დაეთმო მარკისთვის, რაც ერთი ორად გაზრდიდა „რედ ბულის" შანსებს პირად ჩათვლაში. ასეთ შემთხვევაში, ალონსოსა და უებერს შორის სხვაობა არა ექვსი, არამედ ერთი ქულა იქნებოდა.

*„გუნდი სულ სხვა ფილოსოფიით ცხოვრობს. სებასტიანმა ბრწყინვალე რბოლა ჩაატარა და დაიმსახურა ეს გამარჯვება. „რედ ბული" სპორტულ პრინციპს ირჩევს და ასე იქნება მომავალშიც.*

*ჩვენი საჯინიბოს გამო ძალიან გახარებული ვარ. „მაკლარენთან" და „ფერარისთან" კონკურენციაში კონსტრუქტორთა თასის მოგება უდიდესი მიღწევაა", - განაცხადა უებერმა.*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

**ბრაზილიის გრან-პრი. XVIII ეტაპი**

**ინტერლაგოსი (71 წრე, 305.909 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:33.11,803 |
| 2(3). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +4,243 |
| 3(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +6,807 |
| 4(4). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +14,634 |
| 5(11). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +15,593 |
| 6(13). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +35,320 |
| 7(8). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +43,456 |
| 8(1). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | 1 წრე |
| 9(7). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | 1 წრე |
| 10(12). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | 1 წრე |
| 11(14). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე |
| 12(18). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 1 წრე |
| 13(15). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე |
| 14(6). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 15(9). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 16(10). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | 1 წრე |
| 17(16). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანის) | 1 წრე |
| 18(21). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 2 წრე |
| 19(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 2 წრე |
| 20(19). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 2 წრე |
| 21(14). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 2 წრე |
| 22(23). კრისტიან კლიენი (HRT F1, ავსტრია) | 2 წრე |
| 23(22). ლუკას დი გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 2 წრე |
| 24(17). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | 20 წრე |

**კონსტრუქტორთა თასი**

1. რედ ბული - 469 ქულა; 2. მაკლარენი - 421; 3. ფერარი - 389; 4. მერსედესი - 202; 5. რენო - 145; 5. უილიამსი - 69; 7. ფორს ინდია - 68; 8. **BMW**-ზაუბერი - 44; 7. ტორო როსო - 11.

| | ბაჰ | ავს | მალ | ჩინ | ესპ | მონ | თურ | კან | ევრ | ბრიტ | გერ | უნგ | ბელ | იტა | სინ | იაპ | კორ | ბრა | ა-დაბ 14.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ალონსო** (ფერარი) | 25 | 12 | -- | 12 | 18 | 8 | 4 | 15 | 4 | -- | 25 | 18 | -- | 25 | 25 | 15 | 25 | 15 | -- | 246 |
| **უებერი** (რედ ბული) | 4 | 2 | 18 | 4 | 25 | 25 | 15 | 10 | -- | 25 | 8 | 25 | 18 | 8 | 15 | 18 | -- | 18 | -- | 238 |
| **ფეტელი** (რედ ბული) | 12 | -- | 25 | 8 | 15 | 18 | -- | 12 | 25 | 6 | 15 | 15 | -- | 12 | 18 | 25 | -- | 25 | -- | 231 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 15 | 8 | 8 | 18 | -- | 10 | 25 | 25 | 18 | 18 | 12 | -- | 25 | -- | -- | 10 | 18 | 12 | -- | 222 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 6 | 25 | 4 | 25 | 10 | -- | 18 | 18 | 15 | 12 | 10 | 4 | -- | 18 | 12 | 12 | -- | 10 | -- | 199 |
| **მასა** (ფერარი) | 18 | 15 | 6 | 2 | 8 | 12 | 6 | -- | -- | -- | 18 | 12 | 12 | 15 | 4 | -- | 15 | -- | -- | 143 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | 10 | 10 | 15 | 15 | -- | 6 | 10 | 8 | 1 | 15 | 4 | -- | 8 | 10 | 10 | -- | -- | 8 | -- | 130 |
| **კუბიცა** (რენო) | -- | 18 | 12 | 10 | 4 | 15 | 8 | 6 | 10 | -- | 6 | -- | 15 | 4 | 6 | -- | 10 | 2 | -- | 126 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | 8 | 1 | -- | 1 | 12 | -- | 12 | -- | -- | 2 | 2 | -- | 6 | 2 | -- | 8 | 12 | 6 | -- | 72 |
| **სუტილი** (ფორს ინდია) | -- | -- | 10 | -- | 6 | 4 | 2 | 1 | 8 | 4 | -- | -- | 10 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | 47 |
| **ბარიკელო** (უილიამსი) | 1 | 4 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | 12 | 10 | -- | 1 | -- | 1 | 8 | 2 | 6 | -- | -- | 47 |
| **კობაიაში** (BMW-ზაუბერი) | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | 6 | 8 | -- | 2 | 4 | -- | -- | 6 | 4 | 1 | -- | 32 |
| **ჰიულკენბერგი** (უილიამსი) | -- | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | 8 | -- | 6 | 1 | -- | 1 | 4 | -- | 22 |
| **ლიუცი** (ფორს ინდია) | 2 | 6 | -- | -- | -- | 2 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | 1 | -- | -- | -- | 8 | -- | -- | 21 |
| **პეტროვი** (რენო) | -- | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | 10 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 19 |
| **ბუემი** (ტორო როსო) | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | 4 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | -- | -- | 8 |
| **დე ლა როსა** (BMW-ზაუბერი) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ჰაიდფელდი** (BMW-ზაუბერი) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 | 2 | -- | -- | 6 |
| **ალგერსუარი** (ტორო როსო) | -- | -- | 2 | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 3 |